619
1975







ეროვნული
ბიბლიოთეკა















თებერვალი
№ 2 1975 წ.

# დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა





დასიცხულ მიწაზე სამგორის მაცოცხლებელი წყალი შემოჩხრიალდა.

ძველი ფარნები და თანამედროვე ლამპიონები.





ნაწარმს, რომლებსაც წინათ კუსტარულად ამზადებდნენ, ახლა მხატვრები და გამოცდილი კერამიკოსები ჩასდგომიან სათავეში.





საბჭოთა საქართველო 51 წლისაა.

ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყნიდან ჩვენი მამული ამ ხნის მანძილზე მოწინავე ინდუსტრიისა და მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის აყვავებულ რესპუბლიკად გადაიქცა. ჩვენმა მეცნიერებმა, სპორტსმენებმა, ხელოვნების მუშაკებმა საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

თანამედროვე ცხოვრების ფონზე, საქართველოს გუშინდელი დღის ამსახველი ფოტოსურათები ახლა უკვე საინტერესო ისტორიად ქცეულა. ამიტომაც იყო, როცა ფოტოკორესპონდენტმა ვიქტორ ჯეირანელმა თავისი არქივიდან რამდენიმე ძველი ფოტოსურათი შემოგვთავაზა, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ მათი გამოქვეყნება გადაწყვიტა.

ეს ფოტოსურათები მკაფიოდ ასახავენ იმ ძვრებსა და გრანდიოზულ ნაბიჯებს, რომლებიც საბჭოთა საქართველომ გაიარა.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება გაეცნონ ამ ფოტოსურათებს. მათში ნათლად არის დაპირისპირებული საქართველოს გუშინდელი და დღევანდელი დღე.

ძველი და ახალი საქსოვი დაზგები.





# გუშინ და დღეს

ფოტო ვ. ჯეირანელისა



ამ მენახშირეებს ეზო-ეზო დაჰქონდათ ნახშირით სავსე ბარდანები. მშრომელთა ოჯახებში ახლა ბუნებრივი გაზი გიზგიზებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა






ძველი თბილისის თანამგზავრი კონკა და თანამედროვე ტრანსპორტი.





ეს ორი ფოტოსურათი სხვადასხვა დროს ერთი და იგივე წერტილიდან არის გადაღებული.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 2 (458) თებერვალი, 1975 წ.

გამოცემის წელი 52-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1975

მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ო. დემეტრაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ს. დურმიშიძე, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლ. სულაბერიძე, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე

# ცემენტის ქალაქი



ფოტო თ. არჩვაძისა.

კასპის ცემენტის ქარხნის მშენებლობა დამკვრელურ ობიექტად გამოცხადდა.

იდგა 1927 წელი.

ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა ის-ის იყო იდგამდა ფეხს. ხარაჩოების ტყით დაფარულ ქალაქებსა და სოფლებს უამრავი რაოდენობით ესაჭიროებოდა მშენებლობის „პური“ — ცემენტი.

კასპელებს ახლომახლო სოფლებიდან, საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული მშენებლები ამოუდგნენ მხარში. სად იყო ტექნიკა! ბარებითა და წერაქვებით გათხარეს საძირკველი, ფუძე დაულოცეს მომავალ ქარხანას.

თანდათან შემომაღლდა კედლები. მერე ის იყო, პავლე ნონიაშვილი და ივანე გეჯაძე ზარ-ზეიმით გააცილეს ბრიანსკში. ვიდრე ქარხნის მშენებლობა დამთავრდებოდა, ბიჭებს ხელობა უნდა შეესწავლათ, ცემენტის მიღების ოსტატობას უნდა დაუფლებოდნენ ბრიანსკელ მეგობრებთან.

სამი წელი შენდებოდა ქარხნა. სამი წელი დარსა და ავდარში — თაკარა სიცხესა თუ სუსხიან ყინვაში თავდადებით შრომობდნენ მშენებლები.

და აი, დადგა საზეიმო დღე. გამოწვის საამქროს მბრუნავი ღუმელებიდან პირველი პროდუქცია გამოუშვეს. დაიბადა ქართული ცემენტი.

1930 წელი იდგა.

ამ წელს კასპის ცემენტის ქარხანამ 125 ათასი ტონა საუკეთესო ხარისხის ცემენტი გამოუშვა.

* * *

მწყობრში ჩადგომიდან დღემდე, კასპის ცემენტის ქარხანამ რესპუბლიკის მშენებლობებს თხუთმეტ-ნახევარ მილიონ ტონაზე მეტი ცემენტი მიაწოდა. ძნელია დავასახელოთ საქართველოში ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტი, რომლის მწყობრში ჩადგომაში კასპელებს თავიანთი წვლილი არ შეეტანოთ.

შარშან კასპელმა მეცემენტეებმა 774 ათასი ტონა ცემენტი მისცეს სამშობლოს. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს კი ისინი 820 ათას ტონა ცემენტს მიაწვდიან მშენებლებს.

ესეც ცოტაა! ყოველდღიურად ჩვენ უფრო და უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი ცემენტი გვჭირდება. აი, ამიტომაც არის, რომ მომავალი წლიდან კასპის ცემენტის ქარხნის კაპიტალური რეკონსტრუქცია-გაფართოებაა გადაწყვეტილი. ამ რეკონსტრუქციის შემდეგ კასპელები სამშობლოს ყოველწლიურად მისცემენ 2 მილიონ ტონაზე მეტ ცემენტს.

მაგრამ ნედლეული? ეყოფა თუ არა ქარხანას ძირითადი ნედლეული — კირქვა, რომლის საბადო თრიალეთის ქედზე მდებარეობს და სამხრეთით ესაზღვრება ქალაქ კასპს?

* * *

კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორი თენგიზ ალიბეგაშვილი, პარტკომის მდივანი ენმარ შაველაშვილი, მთავარი ინჟინერი შალვა ყურუა და დირექტორის მოადგილე ჯემალ გოცირიძე დეტალურად გვინმარტავენ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს.

კირქვის მოპოვება აქ თურმე ღია წესით — აფეთქებით ხდება. მონგრეული კირქვის ვეება ლოდები კავთისხევის კარიერის სამმართველოს სამსხვრევ ფაბრიკაში მუშავდება და საჰაერო-საბაგირო გზით მიდის ცემენტის ქარხნის ნედლეულის საამქროში. ამ საამქროს ყოველდღიურად თურმე 2 ათასი ტონა ასეთი ნედლეული სჭირდება.

დამსხვრეული კირქვა ხვიმირებში იყრება. კირქვას აქ თიხის შლამს ურევენ და შემდეგ ნედლეულის წისქვილში გადააქვთ. წისქვილში ხდება მათი დაქუცმაცება საჭირო სიწმინდემდე. დამუშავებული მასა საბოლოოდ შეაქვთ მბრუნავ ღუმელებში, სადაც 1 600 გრადუს ტემპერატურაზე „ცხვება“ ე. წ. კლინკერები.

კლინკერი ცემენტის წარმოებაში ნახევარფაბრიკატს ეწოდება. იგი მრგვალი ფორმისაა და დაახლოებით კაკლისოდენაა.

მიღებული კლინკერები საწყობში შეაქვთ და ახლა ჰიდრავლურ დანამატებს — პემზასა და თაბაშირს ურევენ. საბოლოოდ მთელი ეს ნაზავი ცემენტის წისქვილში იგზავნება, იფქვება და სპეციალური ტუმბოებით გადაიქაჩება ე. წ. სილოსებში. კასპური მაღალხარისხოვანი ცემენტი უკვე მზად არის!

— უმთავრესი ნედლეულის — კირქვის მოპოვება, როგორც უკვე აღინიშნა, თრიალეთის ქედის საბადოებში ხდება, — გვეუბნება თენგიზ ალიბეგაშვილი, — უახლოესი წლებისათვის კირქვის მარაგი საკმარისია. ჩვენ მაინც წინ ვიხედებით. სოფელ ძეგვთან, სისხორის მთებში უკვე დაზვერილია კირქვის მდიდარი საბადო. ამ საბადოდან ამოღებულ კირქვას ფართოდ გამოვიყენებთ ქარხნის რეკონსტრუქციის შემდეგ. ისე რომ, კასპის ცემენტის ქარხანას ნედლეულის მხრივ შეფერხება არ ექნება. ახლა მთავარია, მუშაობა ისე წარვმართოთ, რომ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები პირნათლად გავანაღდოთ.

* * *

გასული წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს კასპელმა მეცემენტეებმა.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მათ წინაშე კიდევ უფრო დიდი ამოცანებია დასახული. წელს ქარხანაში უნდა აწარმოონ 820 ათასი ტონა ცემენტი, 68 მილიონი პირობითი ფილა-შიფერი, 90 ათასი კუბური მეტრი წიდა-ბლოკი.

კასპელმა მეცემენტეებმა კარგად იციან, რომ მათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სხვას რომ თავი დავანებოთ, რესპუბლიკის 3500 დიდსა და პატარა ორგანიზაციას მიაქვს ქარხნიდან ცემენტი. აქაური ცემენტი ირანშიც იგზავნება.

რვა სილოსი აღმართულა ქარხნის ეზოში. თითოეული მათგანის ტევადობა 1 800 ტონაა. დილიდან გვიანობამდე არ წყდება ფუსფუსი, ქართული ცემენტი იტვირთება ვაგონებში, ცემენტმზი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

დავებში, ავტომანქანებში. უწყვეტ ნაკადად მიედინება სხვადასხვა მშენებლობებისაკენ ცემენტი, რომელიც საიმედოდ ადუღაბებს კაშხალებსა და მიწისქვეშა გვირაბებს, მრავალსართულიან სახლებსა და საწარმოო ობიექტებს...

კასპის ცემენტის ქარხანაში 1 100-ზე მეტი ადამიანი შრომობს. აქედან 330 კაცი კომუნისტია. სწორედ კომუნისტები წარმოადგენენ იმ მთავარ ძალას, იმ მთავარ დასაყრდენს, რომელზეც ქარხნის წარმატებებია დამოკიდებული.

* * *

იმ დღეს პარტიული კომიტეტის სხდომა გვიანობამდე გაგრძელდა. მთავარი საკითხი ცემენტის წარმოების გაზრდისათვის ადგილობრივი რეზერვების გამონახვა და მათი მაქსიმალური გამოყენება იყო.

ცემენტის წარმოების ზრდა დაკავშირებულია მეტი რაოდენობის კლინკერების გამოშვებაზე. კომუნისტებმა აქცენტი სწორედ მოძრავი ღუმელების წარმადობის გაზრდაზე აილეს და მათი დაგრძელება გადაწყვიტეს.

ამ ინიციატივას მთელმა კოლექტივმა დაუჭირა მხარი.

მუშაობა უაღრესად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. საქმე იმაშია, რომ რეკონსტრუქციის პერიოდში ღუმელებს მოქმედება უნდა შეეწყვიტათ. ეს გარემოება, ცხადია, გეგმების შესრულებაზე მოახდენდა გავლენას. კასპელმა მეცემენტეებმა გადაწყვიტეს, ჯერ ერთი ღუმლის რეკონსტრუქცია მოეხდინათ, შემდეგ მეორესი. სამუშაოები უაღრესად შემჭიდროვებულ ვადებში, მაქსიმალური დატვირთვით და ოპერატიულად ჩატარდა.

ადრე თითოეული ღუმლის სიგრძე 127 მეტრი იყო. ღუმელები ახლა 150 მეტრამდე დაგრძელდა ძველი ღუმელი საათში 18-19 ტონა კლინკერს უშვებდა, რეკონსტრუქციის შემდეგ კი ღუმელები 26-28 ტონამდე მაღალხარისხოვან კლინკერს უშვებენ.

კლინკერების გამოშვების გაზრდამ ბუნებრივად მოითხოვა დაფქვის საამქროს სიმძლავრის გაზრდა. მოძველებული წისქვილი სწრაფად შეიცვალა ახლით, რამაც მთლიანად უზრუნველყო კლინკერის ნამატის შეუფერხებელი დამუშავება.

ქარხანა დღეს მოწინავეთა რიგებში დგას. მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინ იყო დრო, როცა საწარმოს უჭირდა. ვერ სრულდებოდა გეგმები, დაბალი იყო თითოეული მუშის გამომუშავება. ასეთმა გარემოებამ ბევრს გაუტეხა გული, ბევრი მუშა და გამოცდილი სპეციალისტი წავიდა ქარხნიდან.

კომუნისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მაშინაც სამაგალითონი იყვნენ. გაჭირვების ჟამს არც ერთ კომუნისტს არ მიუტოვებია საწარმო. პირიქით, ისინი მხარში ამოუდგნენ საწარმოს ხელმძღვანელობას და კასპის სახელოვანი ცემენტის ქარხანა კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩააყენეს.

* * *

საქმეს შეჩვევა, შეყვარება და გატაცება იცის. გაჭირვების ჟამს, როგორც აღვნიშნეთ, ბევრმა მიატოვა საწარმო, მაგრამ არიან მუშები, რომლებსაც საკუთარი ოჯახივით უყვართ თავიანთი ქარხანა. ეს ადამიანები სისხლხორცეულად არიან დაკავშირებულნი კოლექტივთან, თავიანთი ქარხნის, თავიანთი საქმის გარეშე სიცოცხლე ვერც კი წარმოუდგენიათ.

აი, ერთ-ერთი მათგანი — ალექსანდრე დარახველიძე.

ალექსანდრე ახალგაზრდა იყო, როცა კასპის ცემენტის ქარხნის მშენებლობაზე მივიდა. მის თვალწინ აშენდა და დავაჟკაცდა ქარხანა. რამდენიმე წელი იმუშავა ალექსანდრემ ცემენტის ქარხანაში. მერე დიდი სამამულო ომი დაიწყო და ვაჟკაცი სამშობლოს დასაცავად წავიდა. ორდენებით და მედლებით შინ დაბრუნებული ალაქსანდრე დარახველიძე პასუხსაგებ თანამდებობებზე დანიშნეს, მაგრამ გულმა მაინც ქარხნისკენ გამოსწია.

ისევ დაუბრუნდა მშობლიურ საწარმოს ალექსანდრე, ისევ ჩაება საერთო ფერხულში. თავდადებულ შრომაში გაირბინა წლებმა. ალექსანდრე დიდი პატივით გააცილეს პენსიაზე.

ერთხანს ოჯახში იტრიალა მოხუცმა. მერე გულმა ვეღარ გაუძლო და ერთ მშვენიერ დღეს ისევ თავის მშობლიურ ქარხანას დაუბრუნდა. დაუბრუნდა და ახლაც ჩვეული სიყვარულით განაგრძობს მუშაობას.

შარშანწინ გააცილეს პენსიაზე ლენინის ორდენოსანი ვეტერანები ივანე გეჯაძე და ვასილ კოტიაშვილი, შრომის წითელი დროშისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალრები ვასილ ჯარმელაშვილი და რუბენ გიგილაშვილი. გააცილეს, მაგრამ მათ საქმეს ახლა მათი შვილები აგრძელებენ. ვასილ კოტიაშვილის ოთხი შვილი სასახელოდ შრომობს ქარხანაში. ვასილ ჯარმელაშვილის სამი მემკვიდრეც — გივი, თენგიზი და ალექსანდრე მოწინავე მშრომელებად ითვლებიან კასპის ცემენტის ქარხანაში. ასეთები ბევრნი არიან.

ტრადიცია გრძელდება. სახელოვან ვეტერანთა ესტაფეტა საიმედო ცვლის ხელშია. ქარხანაში ახლა ორი საამქრო და 15 ბრიგადა ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელს.

* * *

ხუთწლედის დამამთავრებელი წელი ძალაში შედის.

მთელი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის მშომელები თავდადებით იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად.

ამ საერთო ფერხულს მტკიცედ უბამს მხარს კასპის ცემენტის ქარხანა. გუგუნებენ ღუმელები. უწყვეტ ნაკადად მიედინება ქართული მაღალხარისხოვანი ცემენტი. მოდის მშენებელთა „პური", რომელიც საიმედოდ ჩაადუღაბებს ახალ შახტებს, გვირაბებს, მსხვილ სამრეწველო ობიექტებს, მშრომელთა კეთილმოწყობილ საცხოვრებელ სახლებს...

ჰენრი კობიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



1966 წელი. ივანე ბერიტაშვილი მიესალმება რუსთაველის პრემიის ლაურეატებს.

# უკვდავება

აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი.

ფოტო გივი შეყილაძისა



65 წელზე მეტია, რაც ივანე ბერიტაშვილი უაღრესად დიდმნიშვნელოვან და ნაყოფიერ მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

მსოფლიოს რომელ კუთხეში არ იცნობენ და პატივს არ სცემენ საბჭოთა ფიზიოლოგიის სიამაყეს აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილს!

400-ზე მეტი შრომა, მათ შორის 27 მონოგრაფია, იმ ტიტანური შრომის, დაუცხრომელი მეცნიერული კვლევა-ძიებისა და შემოქმედებითი ენერგიის შედეგია, რომელსაც ხანგრძლივი წლების მანძილზე ეწევა ივანე ბერიტაშვილი.

ფართო და უაღრესად მრავალმხრივია თემატიკა, რომელსაც თანამედროვეობის დიდი ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი ამუშავებს. მან შექმნა მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ნაშრომები, რომლებიც ეხება ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შეკავების პრობლემას, დეტალურად შეისწავლა რეცეპტორთა როლი ადამიანისა და ცხოველთა სივრცით ორიენტაციაში, ასევე საფუძვლიანად შეისწავლა ე. წ. ძველი ტვინის ფუნქციები, დიდ დროსა და ენერგიას ახმარს მეხსიერების ყოველმხრივ შესწავლას. ძნელია დეტალურად ჩამოთვალოთ ყველა ის საკითხი და პრობლემა, რომლებზეც მუშაობდა და მუშაობს დიდი მკვლევარი.

ივანე ბერიტაშვილის ბოლო მონოგრაფია „ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერება, მისი წარმოშობა და დახასიათება“ თბილისში გამოიცა, შემდეგ ინგლისურად ითარგმნა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დაისტამბა. ეს ნაშრომი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ შარშან გამოსცა მოსკოვში.

აი, ასეთი დიდი რეზონანსითა და ცხოველი ინტერესით ხვდებიან მეცნიერის შესანიშნავ ნაშრომებს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ფასდაუდებელია ივანე ბერიტაშვილის ღვაწლი როგორც პედაგოგისა. მან პირველხარისხოვან ფიზიოლოგთა მთელი არმია გამოზარდა, რომლებიც ახლა მონდომებით იღწვიან, რათა თავიანთი დიდი მასწავლებლის ღირსეული შეგირდები იყვნენ.

სოციალისტური შრომის გმირი ივანე ბერიტაშვილი წევრია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა. იგი ნიუ-იორკის აკადემიისა და უცხოეთის მთელი რიგი საზოგადოებების საპატიო წევრია.

ბიბლიოთეკაში.



წინ თბილისის ხედია გადაშლილი.





უნივერსიტეტისაკენ.

წინამდებარე ფოტომოთხრობა უკვე დასაბეჭდად იყო გამზადებული, როცა რედაქციაში სამწუხარო ამბავი მოვიდა. საბჭოთა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა სახელგანთქმული მეცნიერი, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი და მსოფლიოში აღიარებული ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი დიდი მეცნიერი და მოქალაქე, რომელმაც საშვილიშვილო კვალი დატოვა საბჭოთა მეცნიერებაში. ივანე ბერიტაშვილის უკვდავი სახელი შთამომავლობას მუდამ ექნება მეცნიერებისა და ხალხის სამსახურისთვის თავდადებული ადამიანის სიმბოლოდ.

ცოლ-ქმარი.



# ამ ჩვენს მამულში



ქუთაისის № 2 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივმა საპატიო დავალება მიიღო: მათ უმოკლეს ხანში უნდა აითვისონ სართულთაშორისო გადახურვის 9 მეტრიანი მრავალღრუიანი ფილების გამოშვება, რომლებიც თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობისათვის არის განკუთვნილი.

ქუთაისელი მებეტონეები განსაკუთრებული მონდომებით შეუდგნენ საქმეს.

●

დუშეთის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია სულ უფრო და უფრო მეტ მოწონებას იმსახურებს მომხმარებლებში. აქაურ ნაწარმზე დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

მეკონსერვეებმა ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის დავალება გადაჭარბებით გაანაღდეს. ტექნოლოგიურ პროცესებში ინერგება მთელი რიგი სიახლენი, რაც კიდევ უფრო გაზრდის ქარხნის წარმადობას, აამაღლებს ნაწარმის ხარისხს.

●

ორმოცი მილიონი მანეთი დაიხარჯა კოოპერირებული მაგისტრალური წყალსადენის მშენებლობაზე, რომელიც სასმელი წყლით უზრუნველყოფს ლაგოდეხის, სიღნაღის, წითელწყაროს რაიონების მოსახლეობას.

დამთავრდა წყალსადენის პირველი რიგი, ამოქმედდა პირველი სატუმბავი სადგური. მშრომელთა ოჯახებმა და წარმოება-დაწესებულებებმა მთის ანკარა წყალი მიიღეს.



●

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღის ტერიტორიაზე მიწისქვეშა ბურღვის დროს ჭაბურღილიდან იფეთქა ფერმიულმა წყალმა, რომლის ტემპერატურა პლუს 104-106 გრადუსია.

წყალი ამოჩქეფს 3 580 მეტრი სიღრმიდან.

სპეციალისტები მალე გამოიკვლევენ წყლის შემადგენლობას.

●

თიანეთში არტანის მთა მდიდარია წყაროებით. გადაწყდა ამ წყაროების შეგროვება და წყალსადენის გაყვანა. თიანეთში უკვე დაიდგა 500 კუბური მეტრი მოცულობის რეზერვუარი. წყლის დებეტი წამში 18 ლიტრია.

ახალი წყალსადენი მთლიანად დააკმაყოფილებს თიანეთის მოსახლეობის მოთხოვნილებას.

●

1889 წელს ექიმთა საერთაშორისო კონგრესზე მსოფლიოს საუკეთესო მედიკოსებმა აფხაზეთი ერთ-ერთ შესანიშნავ საკურორტო კუთხედ აღიარეს.

1921 წელს აფხაზეთში მხოლოდ 2 სანატორიუმი იყო, რომლებშიც 1500-მდე ადამიანმა დაისვენა. ახლა აფხაზეთის ტერიტორიაზე 30-მდე სანატორიუმი და დასასვენებელი სახლია. ყოველწლიურად აქ 400.000-ზე მეტი მშრომელი იკაუებს ჯანმრთელობას. მარტო ბიჭვინთის პანსიონატი შარშან 30 ათას დამსვენებელს მოემსახურა.



●

ზესტაფონის კაბელის ქარხანაში მწყობრში ჩადგა ახალი ავტომატური ხაზი, ამუშავდა ორი აგრეგატი.

ქარხანა აქამდე შვიდძარღვიან კაბელს ამზადებდა. ტექნიკურმა სიახლემ შესაძლებელი გახადა დამზადდეს შვიდ, ათ, თორმეტ და თოთხმეტძარღვიანი კაბელები.

ზესტაფონის კაბელის ქარხნის პროდუქცია უცხოეთშიც იგზავნება.

●

გარდაბნის რაიონის სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში ზვრების მექანიზაციით დამუშავებისას ერთწლიანი ვაზი ვერ უძლებდა მექანიზმის დარტყმებს და ტყდებოდა.

მეურნეობის მთავარმა ინჟინერ-მექანიკოსმა მირიან ხოსიტაშვილმა მექანიზმს გაუკეთა ხელით გამომრთველი სპეციალური მოწყობილობა, რომელიც აღარ აზიანებს ვაზს.

ამ ტექნიკურმა სიახლემ მეურნეობას რამდენიმე ათასი მანეთი ეკონომია მისცა.

●

მიმდინარე წლის იანვარში 70 წელი შესრულდა რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის დაწყებიდან.

ამ თარიღთან დაკავშირებით კარლ მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო სპეციალური გამოფენა.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი შეივსო ახალი ექსპონატებით, რომლებიც ასახავენ რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდს საქართველოში.

●

თერჯოლის რაიონში უკანასკნელ ხანებში ფართოდ დაინერგა ბოსტნეული ნათესების მექანიზაციით დამუშავება, რამაც მნიშვნელოვნად გაზრდა საჰექტარო მოსავლიანობა.

შარშან 1880 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 5203 ტონა ბოსტნეული.

იმის გამო, რომ რაიონში არ არსებობდა საკონსერვო ქარხანა, ბოსტნეული შედარებით შორ მანძილზე გადატანისას ფუჭდებოდა, დიდი იყო დანაკარგები. 1975 წელს თერჯოლაში მწყობრში ჩადგება ახალი საკონსერვო ქარხანა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს შედლმულის დანაკარგებს.

●

საჩხერესა და ახლომახლო მდებარე სოფლებში ტელეგადაცემათა სრულყოფილი გამოსახულების მისაღებად ძველ ციხე-სიმაგრე „მოდინახეზე" სწრაფი ტემპით შენდება 50 მეტრი სიმაღლის ტელესარეტრანსლაციო კოშკი.

ტელეგადაცემებს ახლა აქ ჭიათურის საშუალებით იღებენ. კოშკის მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი საჩხერესა და ახლომახლო სოფლებში პირდაპირ თბილისიდან მიიღებენ მკვეთრი გამოსახულების ტელეგადაცემებს.



მარგანეცის ქალაქ ჭიათურაში ამუშავდა „მარგანტრესტის" საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი.

ელექტროგამოთვლითი მანქანა და საანგარიშო-პერვირაციული ტექნიკა საშუალებას იძლევა ცენტრალიზებულად, სწრაფად და ზუსტად დაიანგარიშონ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები, ძირითადი და დამხმარე მასალების, ელექტროენერგიის ხარჯი.

გამოთვლითი ცენტრი ემსახურება მარგანეცის ტრესტს და მასში გაერთიანებულ საწარმოებს.

განყოფილებისათვის „ამ ჩვენს მამულში" ინფორმაციები მოგვაწოდეს ჩვენმა კორესპონდენტებმა: დ. ბიწაძემ, ი. ტაბიძემ, ე. მაჭავარიანმა, დ. დათეგაშვილმა.

# ჭუბურხინჯელები

იპოლიტე გამსახურდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბებერი მუხა

ჭუბურხინჯი გალის რაიონის ერთ-ერთი წარმტაცი სოფელია. მისი შემოგარენის დასავლეთ ნაწილს ჭყონხუმლა ჰქვია.

ჭყონი მუხას ნიშნავს მეგრულად, ხუმლა კი — ხმელს.

ჭუბურხინჯის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „მეგობრობის" უფროსმა აგრონომმა ნაპო ჭკადუამ მიამბო:

— თავად ანჩიბაიას წინათ თურმე ყმა ზაქარაია გაურჩებია. ზაქარაია უშიშარი კაცი ყოფილა. ვეღარ აუტანია ბატონის უსამართლობა, გადმოუღია თოფი და შიგ გულში დაუხლია გულქვა თავადისათვის.

სოფელს გარიდებია ზაქარაია, უვლია, უვლია და ჭუბურხინჯის გაუვალ ტყეებში იმ ადგილას შეჩერებულა, სადაც მრავალსაუკუნოვანი, ტოტებდალეწილი ხმელი მუხა მდგარა.

მოსწონებია ლტოლვილ ზაქარაიას აქაური გარემო, სუფთა ჰაერი, ანკარა წყაროები და ხმელ მუხასთან დაუცია კარავი.

ზაქარაია დიდხანს როდი ყოფილა მარტო ჭუბურხინჯის ტყეში. მალე მას გუდაუთიდან თავად აქირთავას მკვლელობისათვის გამოქცეული ბაბაშია ყოლბაია შეამხანაგებია.

გავიდა ხანი. უსამართლობას გამოქცეულ ყმებს თავიანთმა ოჯახებმა მოაკითხეს. სხვებიც შემოემატნენ. მომრავლდა ისლიანი სახლები, ცეცხლი დაენთო კერიაზე, სიცოცხლე დასახლდა აქამდე უკაცრიელ მიდამოზე.

დღეს ჭყონხუმლაში იმდენი ყოლბაია და ზაქარაია ცხოვრობს, დათვლა გაგიჭირდება კაცს.

## თავკაცი

ჭუბურხინჯელ მშრომელებზე ბევრი იწერება. აქაური მეჩაიეები, მესიმინდეები, მეთამბაქოეები, მეაბრეშუმეები ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს. მათ თავდადებულ შრომაზე იქმნება ნარკვევები, წერილები, გადაიცემა რეპორტაჟები, ჩანახატები...

ჭუბურხინჯის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვებაზე" კი ჯერ თითქმის არაფერი დაწერილა.

ამას თავისი გამართლება აქვს.

სოფლის მთაგორიან ნაწილში მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა მხოლოდ ესეს არის ჩამოყალიბდა და მან თავისი პირველი სრული მოსავალი მხოლოდ შარშან მოგვცა.

მეურნეობის დირექტორი უჩა ჩაკაბერიაა.

მე ვიცნობ ამ კაცს. მინახავს იგი ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებში. სხვადასხვა საპასუხისმგებლო პარტიულ და სამეურნეო სამუშაოებზეც უმუშავია. უჩა ყოველთვის მხიბლავდა თავისი პირდაპირობით, უშუალობით, უბრალოებით. ამ თვისებებს იგი მუდამ ახლის ძიებას, ორგანიზატორულ ნიჭსა და მკაცრ მომთხოვნელობასაც ურწყავს..

საბჭოთა მეურნეობაში ექვსი აგროგანყოფილებაა და ექვსივე აგროგანყოფილება ფეხდაფეხ შემომატარა მეურნეობის თავკაცმა.

მივდივართ, ვსაუბრობთ. უჩა ჩაკაბერიას თვალს კი არაფერი გამოეპარება:

— ფელიქს, ტორფის შეტანა არ დაგაგვიანდეს!

ფელიქს მიქაია მეხუთე აგროგანყოფილების მმართველია. დირექტორის შენიშვნაზე იღიმება და დინჯად ამბობს:

— არ დაგვაგვიანდება!

— ყველაფერში უნდა ვიჩქაროთ, — ახლა მე მიყურებს უჩა, — მეურნეობას ათას ხუთასი ჰექტარი სავარგულები აქვს მიმაგრებული. ჯერჯერობით მხოლოდ ხუთას ოცდაათი ავითვისეთ. სად რა გავახარეთ? სამას ორმოც ჰექტარზე ციტრუსოვანი კულტურები მოვაშენეთ. დანარჩენზე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ბამბუკი, ლეღვი, მსხალი და ვენახი ჩავყარეთ...

ჩემი მოსაუბრე მალ-მალე ჩერდება, მომავალი საერთო საცხოვრებლების, ბაგა-ბაღების, სკოლებისა და მაღაზიების ასაშენებელ ადგილებს მაჩვენებს.

უჩა ჩაკაბერია კოლექტივს ეყრდნობა. რაც გაკეთდა, საერთო ძალით გაკეთდა. და მე ღრმად მჯერა, რომ ეს ენერგიული, უნარიანი თავკაცი თავის კოლექტივთან ერთად წარმატებით გადალახავს ყოველგვარ სიძნელეებს.

## როკი

— ჭუბურხინჯელებზე წერ წერილს, ბიძია?

— დიახ.

— როდის უნდა დაიბეჭდოს? — ისევ ცნობისმოყვარეობით მეკითხება დომე ლეჟავა. როცა გაიგო, წერილი თებერვლის ნომერში უნდა გამოქვეყნდეს, გაიღიმა.

— კარგია. თებერვალი ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების თვეა. ნახეთ, ბატონო, რანი ვიყავით გუშინ და რანი შევიქენით დღეს. ა, ამაზე უკეთესი მაგალითი გინდა?!

ბიძია დომეს სოფელში როკს ეძახიან — ხემაგარს. ცოცხალი მემატიანეო რომ იტყვიან, სწორედ ის არის. გუშინდელი დღესავით ახსოვს მენშევიკების ჰარპაში, ჰკითხეთ და წვრილ-წვრილად ჩამოგითვლით ყველაფერს. დღევანდელი სოფლის ავ-კარგიც ხუთი თითივით იცის.

დომე ლეჟავას სახლის გვერდით ჩაის პლანტაციაა გაშენებული.

— პირველი ხუთწლედის პირმშოა, — გვიხსნის ბიძია დომე, — გვიჭირდა. სახადი და სიღატაკე გვავლებდა მუსრს. მერე საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ჩაგვაგონეს, სიმდიდრის წყარო ჩაი და ციტრუსებიაო. მთელი სოფელი ავიშალეთ, ბარებითა და წერაქვებით ამოვძირკვეთ ჩირგვნარი, პლანტაციები გავაშენეთ.

— პირველი მანდარინი ვინ გაახარა ჭუბურხინჯში?

— კირილე ჭკადუამ.

დომე ლეჟავა ახლა ახალ საბჭოთა მეურნეობა „მეგობრობაზე" გვიყვება. დიდი შრომა და ჯაფა ჩაუდვიათ ჭუბურხინჯელებს მთაგორიანი, მძიმე რელიეფის დასაძლევად. დილიდან შებინდებამდე შრომობდნენ. ხუთასზე მეტ ჰექტარზე სხვადასხვა კულტურების გაშენება ხუმრობა საქმე როდია!

— შრომა დაგვიფასდა, ბიძია, შარშან პირველი მოსავალი მოვიწიეთ. სახელმწიფოსათვის მეურნეობას 135 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი უნდა ჩაებარებინა. 140 ჩავაბარეთ. ჩაი 260 ტონა უნდა მიგვეყიდა, 300 ტონა მივყიდეთ.

მოხუცის ხმაში სიამაყე ჟღერს. ეს სიამაყე მისი სოფლის წინსვლით, მისი ახლობლების, მისი მეზობლების, მისი თანასოფლელების მიღწევებითა და გამარჯვებებით არის მხრებგამაგრებული.

როკი ტყუილად როდი შეარქვეს დომე ლეჟავას. მუხასავით დგას ათას ჭირ-ვარამში გამობრძმედილი კაცი, გულში სიხარულით იწვეთავს თავისი სოფლისა და თავისი ხალხის გამარჯვებების ამბებს.

## წელი გადამწყვეტი

კომკავშირის კომიტეტის მდივანი რამინ მანია მეორე დღეს ადგილზე არ დამხვდა რაღაც საქმეზე გამოუძახიათ პარტიის რაიონულ კომიტეტში. ჩემი მეგზურობა ახალგაზრდა ეკონომისტმა ზაურ კაკუბავამ ითავა.

გზადაგზა გავიგე, რომ მეურნეობის პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში თურმე 45 ჭაბუკი და ქალიშვილი ირიცხება.

— რამდენი კომუნისტია მეურნეობაში? — ვეკითხები ზაურს.

— ოცდათხუთმეტი, — მყისვე მპასუხობს იგი.

ეს დიდი ძალაა. სწორედ კომუნისტები და კომკავშირელები არიან ტონისა და მაგალითის მიმცემნი სხვებისათვის. ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანებში მომხდარმა ძვრებმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII და XIV პლენუმების გადაწყვეტილებებმა ახალი ძალა და ენერგია შემატა მეურნეობის მუშაკებს. ახლა აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა შრომის არნახული ხალისი და წყურვილი.

ზამთარია. ოქროს რთველი დამთავრდა, მაგრამ პლანტაციები უკაცრიელი არ გეგონოთ. ჩაის ბუჩქებს ახლაც უნდა მოვლა-პატრონობა. ვინ იცის, შეიძლება ყინვები დაიჭიროს და ახალგაზრდა ციტრუსების შესაფუთავად დროზეა საჭირო თადარიგის დაჭერა.

სასოფლო საბჭოს დეპუტატი თალიკო კვარაცხელია აქ, პლანტაციაში გავიცანი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერს ლიანა ყოლბაიასაც აქ შევხვდი.

თავიანთ ნაკვეთებს დასტრიალებდნენ ბრიგადირი კაკო ყულბაია და კომკავშირელი მეციტრუსეები: გული გერგედავა, ნელი ჩოფლიანი და თაველა კაკუბავა...

ყველა, ყველა როგორც ერთი, ამთავითვე იჭერს თადარიგს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შეტევისათვის.

შარშან მეურნეობაში ჩაის ფოთლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 8 500 კილოგრამს გადააჭარბა. ეს ციფრი ბევრად მეტია გალის რაიონის საერთო საშუალო მაჩვენებელზე. წელს მეტის გაკეთება მართებთ მეურნეობის მშრომელებს. მათი საბჭოთა მეურნეობა ახალგაზრდაა და ისევე როგორც ადამიანს, მეურნეობასაც თავიდანვე სჭირდება სახელის მოვლა და მოფრთხილება.

## ხარაჩოები

გალში არის მოძრავი მექანიზებული კოლონა, რომელიც ახლა საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე შრომობს.

აგერ ორსართულიანი სახლები, ნათელი ოთახებით, განიერი დერეფნებით.

— ერთი, ორი, სამი... — ვითვლი მე.

მეოთხე სახლს ხარაჩოები აქვს შემოვლებული. იქვე დგას კომკური ამწე. სამუშაოთა მწარმოებელი კარლო უბილავა საჭირო მითითებებს აძლევს კალატოზებს.

ხარაჩოებშია ჩასმული სხვა შენობებიც. კედლები მიიწევენ მაღლა და მაღლა. ყოლბაიები, ზაქარაიები, ცხადაიები აგურს-აგურზე აწყობენ და მე ვხედავ კიდევ უფრო ნათელ დღეს სოფლის შემოგარენში.

ამ ახალ შენობებში საბჭოთა მეურნეობის მშრომელები იცხოვრებენ, გაერთობიან, დაისვენებენ...

გავა ზამთარი, ფერდობებს მოეფინება ენძელებისა და ია-იების ლაშქარი, ჩაის ბუჩქები აიყრიან დუყებს. ჭუბურხინჯელი მშრომელები ახალი წარმატებების მოსაპოვებლად გაეშურებიან ჩაის პლანტაციებში, ციტრუსებისა და ხეხილის ბაღებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოჩენილ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს ხუტა ბერულავას დაბადების ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ქართველი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ნიჭიერი პოეტის შემოქმედებას. ოცდაათ წელზე მეტია იგი დაუღალავად მოღვაწეობს და ქმნის შესანიშნავ ლირიკულ ლექსებსა და პოემებს. ხ. ბერულავას პოეზიას კარგად იცნობენ მოძმე რესპუბლიკებში და მის ფარგლებს გარედაც. მისი პოეზიის ნიმუშები თარგმნილია მრავალ ენაზე. დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხუტა ბერულავა დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია ულოცავს ჩვენს უახლოეს თანამშრომელს ხუტა ბერულავას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და მთავრობის მაღალ ჯილდოს. მრავალ წარმატებასა და გამარჯვებას უსურვებს სამწერლო სარბიელზე, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას პირად ცხოვრებაში.

# 50 ხუტა ბერულავა

ხუტა ბერულავა მეერგასე დეკემბრის გადასახედზე ავიდა. უკან დარჩა მღელვარე ამბებითა და მოვლენებით სავსე შრომისა და ძიების გრძელი გზა. ბევრი ბეწვის ხიდი გადაულახავს ნიჭიერ მგოსანს, უგემნია ტკბილიცა და მწარეც. უმწარტკბილოდ კი არც ცხოვრება არსებობს, მით უმეტეს მგოსნისა, რომელიც მუდამ ადამიანთა შორის ტრიალებს და მესაიდუმლეა კაცის გულისა.

ხუტა ბერულავა სახელოვანი მგოსანი და ღირსეული მამულიშვილია, რომლის ლექსი და საქმე ისე მთლიანია, როგორც ერთი კაკლის ორი ლებანი; ემსახურება იგი ხალხის სანუკვარ იდეალებს, თავს დასტრიალებს ადამიანს, გადმოგვცემს მის ვნებათა ღელვას, მებრძოლი სულის განცდას ადგილს უძებნის ესთეტიკურ სახეებში. პათოსი მგოსნის ყოველი ლირიკული ლექსის ან პოემისა ერთი მთლიანი და განუყოფელია, ხოლო ვაუბზარავი მთლიანობა, სისპეტაკე და სიწრფელე ხ. ბერულავას პოეზიის ძირითადი ნიშნები იყო, არის და იქნება.

ხუტა ბერულავამ პირველი, გაბედული პოეტური სიტყვა ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ასაკში თქვა და მას შემდეგ იგი შთაგონებით ემსახურება ქართულ პოეზიას. ხუტა ბერულავას პირველ ლექსებს პირუთვნელად აფასებდნენ გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ალიო მირცხულავა, სიმონ ჩიქოვანი...

თანამედროვეობის სულით გაჟღენთილი მგოსნის ლირიკა დატვირთულია ადამიანური განცდებით. ტრადიციული თემა აქ ისეა შერწყმული ნოვატორობასთან, ძნელია არჩევანი, რომელს მიანიჭო უპირატესობა. ერთნაირი ძალითაა აჟღერებული პირადი და საერთო, შორეული და დღევანდელი, ოცნება და სინამდვილე. თითქოს ჩვეულებრივი ლექსია „ქარიატა“, მაგრამ მასში რაღაც არაჩვეულებრივი შთაგონებითაა გადაშლილი ლირიკულ განცდათა მთელი სამყარო. ქარიატა, ეს მშვენიერი კოლხური სოფელი, ნაზი ფერებით დახატა ხუტა ბერულავამ. „გამატარე, ზორიგის გზაო, წამიყვანე იქით, სადაც ხშირად ვიმყოფები ოცნებით და ფიქრით“. ქარიატას მიმავალი, „ზუგდიდელი ბიჭის“ ფიქრები გულში სწვდება მკითხველს, აგონებს გუშინდელ დღეს:

კამეჩები გავეშებით  
მიაპობდნენ ტალახს  
და ვკარგავდი ყოველ წუთში  
მოთმინების ძალას...  
იმ ტალახში ურმის თვალი,  
ო, რამდენჯერ ჩარჩა!  
ო, რამდენი ვნახეთ მაშინ  
წვალება და გარჯა!

ბევრი რამ არის შეცვლილი მშობლიურ სოფელში: „ჩვენს მდინარეს კალაპოტი შეუცვლია ოდნავ, იქ სიმინდის ყანებია, სადაც ეზო გვქონდა“, მაგრამ მეოცნებე ჭაბუკი კვლავ მეოცნებედ რჩება: „მე კი როდი შევიცვალე დროის მღელვარ ქარში და ისევე უმანწილი ვარ, როგორც ვიყავ მაშინ“, „ისევ გაუტეხელი ვარ ავდარში თუ დარში“, „წლები, როგორც მეგობრები, მახვევიან ირგვლივ, მათ ჩურჩულში იბადება ჩემი ყრმობის წიგნი“, — წერს პოეტი და ტკბილად ეთხოვება თავის აყვავებულ კუთხეს.

ხუტა ბერულავას პოეზია სიხარულის ერთიანი ვაჟკაცური სიმღერაა, რომლებშიც გულწრფელი შთაგონებითაა გადმოშლილი სათუთი გრძნობა, ტკივილი თუ სიხარული ადამიანისა. მისი ლექსები აფიქრებს კაცს, მკითხველის გულამდის მიაქვს მათში ჩაქსოვილი გრძნობები და განცდები.

ხუტა ბერულავას ქმნილებანი მრავალ ენაზეა თარგმნილი. და მათ ერთნაირი სიყვარულით კითხულობენ შინ და გარეთ, მისი წიგნები ამშვენებენ საბჭოთა ადამიანების ბიბლიოთეკებს. ეს წიგნები დიდი ტირაჟებითაა გამოცემული ქართულ, რუსულ, უკრაინულ და ბევრ კიდევ სხვა ენაზე.

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც მგოსანი თავის ნიჭს ქართული პოეზიის აყვავებას ახმარს. მის ლირიკულ ლექსებსა და ბალადებში მის პოემებში „ყირიმის ცის ქვეშ“, „წინაპრები“, „მწვანე ხომალდი“, „რუსული გული“, „ჯარისკაცის შვილი“, „ამბავი თბილისის დაბადებისა“, „გზები და ვარსკვლავები“, „თეთრი სიმღერა“, „ოცდაოთხი დღე და ოცდაათი წუთი“... „ასი წლის შემდეგ“, „თინა თორტიზელი“, „ნემანის ტალღები“ და სხვ. იგრძნობა მგოსნის დიდი და სათუთი გულისცემა, ქართული სიტყვის თავდადებული მეოხე, სიტყვაში რომ ეძებს დაფარულ საუნჯეს, იმ უსაზღვრო შესაძლებლობას, რისი მიგნებაც სწორედ რომ მგოსნის საქმეა. ხ. ბერულავა არ აჰყვა დროის ცდუნებას, თავის ლექსს შეუნარჩუნა ქართული ბუნებრიობა, სინაზე, რითმა და რიტმი. მის ლექსებში სიტყვა ზეიმობს სილაღეს, ზმნა და სახელი, ფორმიანი და მოდალური, მარტივი და რთული სიტყვები ერთნაირადაა ჩაყენებული მხატვრული გამომსახველობის სამსახურში, თითოეულ მათგანს საკუთარი მელოდია აქვს. პოეტმა კარგად იცის, რომ სიტყვის სარითმო შესაძლებლობა უსასრულოა, მაგრამ მას აღმოჩენა, წვდომა ესაჭიროება.

დაუცხრომელი ძიება, მიგნება ჯერ მიუგნებლისა, სწრაფვა დაფარული საიდუმლოს გახსნისაკენ, თქმა ჯერ უთქმელისა, აი, ობიექტური ფაქტორები, რომლებიც პოეტს საშუალებას აძლევს ჩაიხედოს სიტყვის სიღრმეში, რეალურად შეაფასოს მისი პოტენციური ძალა, აახმიანოს იგი მთელი ბუნებრივობით. სიტყვაში უნდა ვეძებოთ სწორედ ის, რაც მასში არის რეალურად ან პოტენციურად ჩამარხული. ხუტა ბერულავასა და მასთან ერთად ბევრი სხვა ნიჭიერი მგოსნის, შემოქმედებითი პრაქტიკის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამაოა გოდება, თითქოს ქართულმა სიტყვამ ამოწურა თავისი სარითმო შესაძლებლობა. პირიქით. ამ გოდების საფუძველი არ არსებობს.

მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი:

...დიდი სამამულო ომი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა და მეც, დემობილიზებული ოფიცერი, სხვებთან ერთად შინ ვბრუნდებოდი. გვიან ღამით დავტოვეთ მოსკოვი. მატარებელი ნელა მიიკვლევდა გზას სამხრეთისაკენ. ვაგონი გაჭედილი იყო დემობილიზებული ოფიცრებით, რომელთა შორის სამი ქართველი ვიყავით. ოთხ წელზე მეტია, რაც სამშობლოში არ ვყოფილვარ. გამთენიისას შავიზღვის სანაპიროზე გავჩერდით. ვაგონში რუხფარაჯიანი ბრმა მეფანდურე შემოვიდა· გამხდარი თითები ლარებს ჩამოჰკრა და ნაღვლიანი მელოდია ააჟღერა:

დგანან მაღლა ბექობზე,  
ბექობს დაბლა ველი ძევს,  
ერთგან მიშაკოვია,  
სხვა მხრით შალამბერიძე...  
უკვდავება თქვენია,  
არ ჩაქრება თქვენი მზე,  
ამხანაგო მიშაკოვ,  
ძმაო შალამბერიძევ!

მთელი ვაგონი სულგანაბული უსმენდა ბრმას. სიმღერა სამჯერ გაამეორებინეს.

— ნეტავი ვისი ლექსია? — შევეკითხე თანამგზავრს. ვერაფერი მითხრა. ვერც მეფანდურემ გაიხსენა ავტორის ვინაობა: ყველა მღერის და მეც ვისწავლე, ავტორის ვინაობა არ ვიციო.

გვიან გავიგე, რომ მეფანდურემ გვიმღერა ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა პოეტის, ხუტა ბერულავას, ლექსი „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძევ!“...

აღნიშნული ლექსი ომის მრისხანე დღეებში დაუწერია ჩვიდმეტი წლის ხუტა ბერულავას და 1941 წლის 24 აგვისტოს გამოქვეყნებულა გაზეთ „კომუნისტში“. ლექსი მაშინვე სასიმღეროდ ქცეულა.

ასეთი ბედი მხოლოდ ერთეულ პოეტთა ხვედრია!

ამის შემდეგ ვკითხულობდი მგოსნის ლექსებსა და პოემებს, და აი, ერთ დღეს ხუტა ბერულავა გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორად დაინიშნა. დიდხანს მოღვაწეობდა ხუტა ბერულავა „ნაკადულში“. „ნაკადული“ სულ მალე მძლავრ გამომცემლობად გადაიქცა.

ამის შემდეგ ხუტა ბერულავა ერთხანს „ცისკარს“ რედაქტორობდა. დღეს იგი გამომცემლობა „განათლების“ დირექტორია. პოეტი მთელ თავის ენერგიას, ფართო საგამომცემლო ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს ღვიძლ საქმეს. მგოსანმა კარგად იცის დროის ყადრი. დაკარგულად თვლის იმ დროს, თუ რაიმე არ შემატა საერთო საქმეს, „რადგან სიცოცხლე არ იცდის წამით, რადგან სიცოცხლე ქარივით ჩქარობს“; კაცმა სიცოცხლეში ყველაფერი უნდა მოასწროს — შრომაც, ძიებაც, გართობაც და ისე დაგეგმოს თავისი მოღვაწეობა, რომ ღირდეს უკან მოხედვა --- ამბობს იგი. ჭეშმარიტად ასეა! ეროვნული მოღვაწე მაგალითი უნდა იყოს შთამომავლობისათვის შემოქმედებითაც, საქმეებითაც, სიტყვითაც, კაცური კაცობითაც. სწორედ ასეთია ხუტა ბერულავა. შორსგამიზნული და ფილოსოფიურად დასაბუთებულია პოეტის გულწრფელი აღსარება:

გარჯაც, გალობაც, ალერსიც ქალთა.
უნდა მოასწრო ერთად ყოველი,
რომ დაგრჩეს ქვეყნად, ნეკროლოგს გარდა,
შენი პატარა სვეტიცხოველი!

ალექსანდრე ღლონტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჰა, მეორე ორმოცდაათიც დაიწყო!

ხუტა ბერულავას პირველად სოხუმში გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში შევხვდი. ამ დროს სავალდებულო სამხედრო სამსახურში ვიყავი, მაგრამ პოეზიის მუზა არ მასვენებდა და სულ მოკლე ხანში სამი საერთო რვეული გამავსებინა ნაირ-ნაირი ლექსებით. რასაკვირველია, ამათში ბევრი ჩემი იყო, ბევრი გადმომღერებული. სამი საერთო რვეული ეს უკვე კარგა მოზრდილი ერთტომეულია. ჯარისკაცებს ვუკითხავდი ლექსებს და ისინი ტაშისცემითა და გვარიანი სიტყვით გულს მიკეთებდნენ; მაგრამ სიხარულთან ერთად გულში დაბუდებული შიში მაინც არ მასვენებდა. ჯარისკაცი ჯარისკაცია, ნამდვილი, გამოცდილი მწერლის შეფასება კი სხვაა... მე კაცი მინდოდა, რომელიც არა მარტო რჩევა-დარიგებას მომცემდა, არამედ ღირსეულ ლექსებს დამიბეჭდავდა კიდეც. და ასეთი კაცის ძიებამ ხუტა ბერულავასთან მიმიყვანა. იგი მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილებაში ქართული ლიტერატურის სექციას განაგებდა, ამავე დროს იყო გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე.

სანამ ხუტასთან მივიდოდი, ამ კაცის თითქმის ყველა ლექსი წაკითხული მქონდა.

როცა სოხუმის მთავარ ქუჩაზე გავივლიდი, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციის წინ გამოკრულ ახალთახალ გაზეთში ყოველთვის მის ლექსს მოველოდი. ძალიან ხშირად იბეჭდებოდა, თითქმის ყოველ ნომერში; ზოგჯერ გაზეთის მთელი გვერდი მის პოეზიას ჰქონდა დათმობილი. მაოცებდა ამ კაცის შრომისმოყვარეობა და უნარი. ეს არ იყო საგაზეთო, უბრალო, ვალის მოხდის, ან გაზეთში ადგილის შესავსებად დაწერილი ლექსები. ყოველ მათგანში იგრძნობოდა ნამდვილი პოეტის სუნთქვა.

თხუთმეტიოდე წლის ბიჭი ვიყავი, როცა ომის დაწყების პირველსავე დღეებში გაზეთ „კომუნისტში“ წავიკითხე ჩემთვის უცნობი პოეტის ხუტა ბერულავას ლექსი „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძევ!“ რა ვიცოდი, რომ ეს ლექსი ჩვიდმეტი წლის ყმაწვილის დაწერილი იყო.

... არც მაშინ, როცა ლექსებით სავსე სამი საერთო რვეულით მივეშურებოდი გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციისკენ, არ ვიცოდი ხუტას წლოვანება. მეგონა ხანშესული, დარბაისელი... ყოველ შემთხვევაში, ცხოვრებაში ნაცადი კაცი... თურმე ორიოდე წელი გვაშორებდა ერთმანეთს. რედაქციის საერთო განყოფილებაში, შუა ოთახში შემეგება საშუალო ტანის, მკვირცხლთვალება, შავქოჩორა, გამხდარი ყმაწვილკაცი.

რვეულები დაიტოვა და რამდენი რვეულიც იყო, იმდენი დღის მერე დამიბარა. დანიშნულ დროს მივედი, ღიმილი შემომაგება, ჯერ გამამხნევებელი სიტყვა მითხრა, მერე ნელ-ნელა დარიგებაც შემოაპარა და სამი საერთო რვეულიდან სამად სამ ლექსზე მიმითითა, გადამიწერე და მომიტანეო.

სამივე ლექსი სულ მალე დაიბეჭდა და ეს იყო ჩემი პირველი სიხარული.

... მერე, ვინ იცის, რამდენი ლექსი დაიბეჭდა, მაგრამ ის პირველი განცდა განუმეორებელი იყო. ამის დავიწყება შეუძლებელია.

მას შემდეგ მოდის ჩემი და ხუტას მეგობრობა. დღემდე შემორჩა მას ჩემდამი მზრუნველი თვალი. მჭირდება თუ არ მჭირდება მისი დახმარება, ყოველთვის ვგრძნობ, რომ იგი მაინც მითვალთვალებს და ვიცი, რომ მას ჩემი წარმატება ისევე ახარებს, როგორც მე მისი ყოველი ლექსის გამარჯვება.

მე კარგად ვიცი რა გაუხარელი, ულიმღამო, გაჭირვებულ ყოფაში გაიარა მისმა ბავშვობამ. ხუტამ დიდი შრომისა და ნიჭის წყალობით მთავრობის ჯილდოებთან ერთად ხალხის სიყვარულის დიდი ჯილდოც დაიმსახურა.

დღეს ხუტა ბერულავა ორმოცდამეთერთმეტე წელში გადადგა. შევხედავ და გული ხალისით მევსება, რომ იგი ნახევარსაუკუნოვან კაცს ოდნავადაც არა გავს. არა, ეს უბრალოდ თავის მოტყუება და გულის გაკეთება კი არ არის, ეს ჭეშმარიტებაა! მართალია, მის მრავალ ტიტულს „პაპის“ ტიტულიც ამშვენებს, მაგრამ ხუტას მაგალითზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ პაპობა სიბერეს არ ნიშნავს თურმე. პაპა ხარ, ესე იგი გამრავლებულხარ შვილთა მხრიდან.

იმრავლე, ხუტა! იმრავლე ლექსებითა და შვილიშვილებით.

აჰა, მეორე ორმოცდაათიც დაიწყო!

თენგიზ გოგოლაძე

# მეათე ხუთწლედის ანგარიშში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების შემდგომ განვითარებაში უდიდესი როლი ენიჭება კოლხეთის ჭაობების ამოშრობას.

თვალუწვდენელი ფართობები, რომელიც ახლა აშმორებული წყლითა და გაუვალი ძეძვიანით არის დაფარული, გამრჯე ადამიანების ხელით მალე ხალხის სამსახურში ჩადგება. ახლად ათვისებულ ნოყიერ მიწებზე საამოდ აშრიალდება ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, გაშენდება დაფნა და სხვა ძვირფასი კულტურები.

ეს ხვალინდელი დღეა. ახლა კი კოლხეთის დაჭაობებულ ფართობებზე განუწყვეტლივ გუგუნებენ ექსკავატორები, გამრჯე, შრომისმოყვარე ადამიანები ნაბიჯ-ნაბიჯ სტაცებენ ჭაობს ნოყიერ მიწებს.

პარტიის მოწოდების საპასუხოდ, კოლხეთის დაჭაობებული ადგილების ამოშრობა კომკავშირულ დამკვრელურ ობიექტად გამოცხადდა. ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რათა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ამ საშვილიშვილო საქმეში.

აგული აბრამია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ხობის რაიონიდან დაჭაობებულ მიწებთან საბრძოლველად გაეშურა. რიგითმა მეექსკავატორემ მალევე ისახელა თავი. მონდომებამ, საქმის სიყვარულმა, თავდადებულმა შრომამ, იმის ღრმა შეგნებამ, რომ დიდ სახალხო საქმეს აკეთებდა — აგული აბრამია მოწინავეთა რიგებში ჩააყენა.

ახალგაზრდა მეექსკავატორემ უკვე წარმატებით გაანაღდა მეცხრე ხუთწლედის დავალება და ახლა მომავალი მეათე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს.

თავდადებულ შრომას სახელი და დიდება, ხალხის სიყვარული და დაფასება მოაქვს. აგული აბრამია საქართველოს ალკკ-ს ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად აირჩიეს, მთავრობამ იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

სულ მალე კოლხეთის წალკოტად ქცეულ გარემოს ახლად ათვისებული მიწები შეემატება. უფრო მდიდარი, წარმტაცი, გულუხვი გახდება ეს მზიური მხარე.

აგული აბრამია, სხვა ასობითა და ათასობით თანამებრძოლებთან ერთად, თვალს შეავლებს ახლად აბიბინებულ პლანტაციებს, შეავლებს და სიამითა და სიამაყით აევსება გული.



## არაქნის გომბი

1961 წლის ივლისში ტურისტული საგზურით ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში გავემგზავრეთ. კუპეში სამნი ვართ: აკაკი ხორავა მეუღლითურთ და მე. დილის ექვს საათზე ჩვენი მატარებელი სასაზღვრო ქალაქ ჩოპიდან ჩეხეთის ტერიტორიაზე გადავიდა და საბაჟოსთან გაჩერდა.

თავზე ზეწარი მაქვს წაფარებული და მღვიძავს, გალურსული ვარ, ჩემს საპატიო მეზობლებს ძილი რომ არ გავუფრთხო. მაგონდება ჩვენი სპექტაკლი ჩეხეთის ეროვნული გმირის იულიუს ფუჩიკის ცხოვრებაზე. თვალწინ მიდგას საბრძოლო ეპიზოდები... უკან დარჩა სირენების შემზარავი წივილი, ტყვიების ზუზუნი ჩეხეთის მიწაზე.

უეცრად იქაურობა საშინელი აფეთქების ხმამ შესძრა. ზეწარი გადავიძრე და წამოვხტი, ქალბატონი ნინოც წამოვარდა. ბატონი აკაკი ფეხზე იდგა. საწოლებზე შუშის ნამსხვრევები ეყარა. თეთრი სითხით იყო იქაურობა მოსვრილი. „ეს, ალბათ, ტვინია! მაგრამ თავი რომ ყველას მთელი გვაქვს?“ — გავიფიქრე მე.

— რა მოხდა?! ღმერთო, მშვიდობით დავბრუნდე შინ და არსად აღარ წავალ! — ვთქვი მე.

უეცრად აკაკი ხმამაღლა ახარხარდა.

— ნუ გეშინია, გოგო, ეს მე ვიყავი, ფანჯარა ღია მეგონა და არაყნის ქილა გავისროლე! — მითხრა მან.

ამის თქმა და კუპეში ჩეხი გამცილებელი ქალის შემოსვლა ერთი იყო. ბატონი აკაკი მოჰყვა უესტებით საქმის ვითარების ახსნას, ჯიბიდან ჩეხური კრონები ამოიღო და ჯარიმისათვის გაუწოდა.

იმ ხანებში ეკრანებზე უჩვენებდნენ მხატვრულ ფილმს „სკანდერბერგს“. გამცილებელმა აკაკი ხორავა იცნო, ფული უკან დაუბრუნა, მთარგმნელი მოიყვანა და აი, რა უთხრა გამცილებელმა აკაკის:

— პატივცემულო პან მსახიობო, არ მინდა დაგაჯარიმოთ, ვიცი, ალბანეთის დიდ მეომარს ნიშანში სროლა არ გაუჭირდება, ამიტომ, თუ შეიძლება, ჩაბრძანდით სადგურზე და ახლა გარედან ესროლეთ ქვა ფანჯარას, მე რომ თავი ვიმართლო.

აკაკის ისეთი ხარხარი აუტყდა, თვალებიდან ცრემლებიც კი წამოსცვივდა. სული რომ მოითქვა, ისევ კრონები ამოიღო და გამცილებელს სთხოვა, აქტი შეაეწერა და კუთვნილი ჯარიმა მიეღო, რადგან არც ალბანელს და არც ქართველს ნება არა აქვს, ქვა ესროლოს მშვიდობიან სახალხო მატარებელს.

## მოთხრობები

### ტყუილს მოკლე ფეხი აქვს

1961 წელი დიდი ქართველი მგოსნის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლის საიუბილეო წელი იყო. ამ თარიღს მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავდა. ჩვენი ტურისტული ჯგუფის ჩასვლა ბუდაპეშტში სწორედ ამ თარიღს დაემთხვა. მასპინძლებს ასეთ დროს პოეტის თანამემამულეებისა და ისიც მსახიობების იქ ყოფნა დიდად გაეხარდათ. მიგვიწვიეს საღამოზე და გვთხოვეს, მონაწილეობა მიგვეღო. ჩვენ დავთანხმდით. აკაკი ხორავამ უნგრელებს გააცნო ვაჟას შემოქმედება. გაიმართა სახელდახელო კონცერტი. უნივერსიტეტის უფროსმა მასწავლებელმა ჯულიეტა ღვამიჩავამ მოხდენილად შეასრულა ცეკვა „მთიულური“, მე და ექიმმა ნარი უსტიაშვილმა ვიმღერეთ ვაჟას სიტყვებზე გამოთქმული ხალხური სიმღერა „გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ“, შემდეგ აკაკი ხორავამ მაყურებლის წინაშე წარმადგინა და გამოაცხადა, რომ მე წავიკითხავ ნაწყვეტს ვაჟას „ბახტრიონიდან“.

— ზეპირად რომ არ ვიცი? — ვუთხარი და ნაძალადევად გავიღიმე.

ბატონმა აკაკიმაც ღიმილით მიპასუხა და ჩამჩურჩულა: რაც იცი, ის წაიკითხეთო. დავიწყე გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“. მაყურებელი ყურადღებით მისმენდა, დიდი ტაშით დამაჯილდოვა.

შემდეგ მაგიდებთან მიგვიწვიეს. ჩემთან ქალი მოვიდა და თავი გამაცნო— მსახიობი ვარო. ქმარი წარმომიდგინა — მწერალი დეორდ რადო. დეორდ რადოს სიტყვა მისცეს. იგი მოჰყვა, თუ როგორ თარგმნა უნგრულ ენაზე ქართველი პოეტების ნ. ბარათაშვილის, გ. ლეონიძის (!) გრ. აბაშიძის, ი. ნონეშვილის და სხვათა ლექსები. მან საზოგადოებას ვაჟა-ფშაველას ლექსების გადათარგმნაც აღუთქვა.

სირცხვილისაგან დავიწვი, ნამცხვარი გულზე დამადგა და კინაღამ დავიხრჩვი. რადო მომიბრუნდა და მითხრა: პირობას გაძლევთ, რომ ამას არავის ვეტყვი. განა საქმე იმაშია, რომელ ლექსს წაიკითხავთ? მთავარია, რომ თქვენ ქართული ლექსის ჟღერადობა მოასმენინეთ უნგრელებს.

ელენე საყვარელიძე

## უსინათლო ხელოვანი



ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობაში ეს ორმოცდათექვსმეტ წელს მიტანებული კაცი ყველას უყვარს და პატივსა სცემს. სხვანაირად არც შეიძლება: ილია თავართქილაძე, როგორც იტყვიან, გაჭირვების ტალკვესია, ყველას შემწე და ხელის გამმართველი.

ვთქვათ, საკერავი მანქანა გაგიფუჭდათ, ანდა რადიომიმღები და საათი გაქვთ შესაკეთებელი. შორს წასვლა არ დაგჭირდებათ. იქვე, ილია თავართქილაძესთან შეგიძლიათ მიიტანოთ. მასპინძელი ოქროპირია, საამო საუბრით შეგიყოლიებთ და ცოტა ხნის შემდეგ თქვენს მიერ მიტანილ საათსა თუ რადიომიმღებს გაკეთებულს ჩაგაბარებთ.

ილიას საბავშვო სათამაშოების გაკეთებაც შეუძლია და ავეჯის შეკეთებაც, პარკეტის დაგებაც და ელექტროქსელის გაყვანაც, სადურგლო და საზეინკლო სამუშაოების შესრულებაც.

რა დასამალია, ზოგჯერ გამოცდილი მძღოლებიც მოაკითხავენ ხოლმე მანქანისა თუ ტრაქტორის ძრავების შეკეთების თაობაზე კონსულტაციის მისაღებად.

ილია თავართქილაძემ აკვანშივე დაკარგა თვალის ჩინი. ეს უსინათლო კაცი ცხოვრებას არ გაეთელვინა, იმედი და საკუთარი თავისადმი რწმენა არ დაუკარგავს. ახლობლების, მეზობელ-მეგობრების შემწეობით მტკიცედ გამოვიდა ცხოვრების გზაზე და ახლა სხვებს უწვდის დახმარების ხელს.

უსინათლო კაცი სოფლის კეთილდღეობაზე ფიქრობს. ამ რამდენიმე წლის წინ ილიამ მოძველებული, ლარიანი წისქვილი დაშალა. ქუჩის მხარეს არხი გააჭრევინა და საკუთარი ორიგინალური პროექტით ე. წ. კოდის ახალი წისქვილის აგებას ჩაუყარა საფუძველი.

ილია თავართქილაძე მთელს რაიონში ფორტეპიანოების საუკეთესო შემკეთებლად და ამწყობად ითვლება. მუსიკის ნიჭი და გასაოცარი სმენა მიუმადლებია მისთვის ბუნებას.

სოფელში ისე როგორ გაიმართება ლხინი, რომ ილია არ მიიწვიონ! მივა საკუთარი ხელით გამოთლილი ფანდურითა და სალამურით. დაუკრავს და იმღერებს, თვითონაც მოილხენს და სხვებსაც მოალხენს.

მის ოჯახში ყველა მღერის: მეუღლე მარგალიტაც და შვილებიც. უფროსი ვაჟიშვილი კონსტანტინე ინჟინერია, მარინე კი, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, კონსერვატორიაში შესასვლელად ემზადება.

ილია თავართქილაძე ლექსებსაც წერს.

ელიზბარ მათითაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



შემოდგომა.



ზამთარი.



მოხუცის პორტრეტი.

რკინიგზის მაგისტრალზე.



მეგობრის მოლოდინში



# ფოტოხელოვანის თვალით

ფოტო
ზ. დათუაშვილისა

ობობას ქსელი.



ზღვაზე.







ეროვნული
ბიბლიოთეკა





ქართული გობელენები
და ქეჩები.

ფოტო თ. არჩვაძისა.

კიდევ ერთი შესანიშნავი წიგნი შეემატა ამასწინათ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას. კიდევ ერთი მეგზური და მეგობარი შეიძინა ჩვენმა მკითხველმა. ეს წიგნია „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია", რომელიც ეკუთვნის გამოჩენილ მეცნიერს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს ნიკო კეცხოველს.

კითხულობ ამ წიგნს და გგონია, მისი მეოხებით თითქოს ხელახლა აღმოაჩინე შენთვის უკვე დიდი ხნის ახლობელი, ძვირფასი და სანუკვარი სამყარო — შენი მშობლიური კუთხე. თითქოს დღეს პირველად გადაავლე თვალი მის უმშვენიერეს მიწა-წყალს, მთასა და ბარს, ველმინდორს, თითქოს, პირველად იხილე მივანდელი ქართლის სოფლის ცხოვრების მატიანეა.

წიგნში მშობლიური ბუნება, გარემო, მთელი თვალსაწიერი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ქვეყნისა და ერის წარსულთან, დღევანდელობასთან, მის მომავალთან; ბუნება დანახულია არა მხოლოდ როგორც ხილული მატერიის ორგანული ნაწილი, არამედ იგი გასულიერებულია, დაკავშირებულია ერის სულიერ ცხოვრებასთან, მის კულტურულ მემკვიდრეობასთან და მის დღევანდელ ამოცანებთან; წიგნში ისტორია და აწმყო ისე უშუალოდ არის შერწყმული, შორეულ დღეთა აწ უტყვი მოწმენი ისე აქტიურად იჭრებიან თანამედროვე ადამიანის სულიერ სამყაროში, ლორიტულ სახეებს და მკითხველს მართალი და შთამბეჭდავი სიტყვით არწმუნებს, რომ ეს მათ — ქალამნებამოსხმულმა და ხელებდაკოჟრებულმა მამვრალ-ბმა გამოატარეს სამშობლო ბედუკუღმართი ისტორიის ბეწვის ხიდზე, გამოატარეს საუკუნეების ქარცეცხლში. ისინი მოიკაფავდნენ გზას მახვილით ხელში, გადმოუშლიდნენ მიწას გულს სახნისით და ძას საკუთარი ოფლით უგრილებდნენ უბეს. გეუფლება კანონიერი სიამაყის გრძნობა შენი მშობლიური მიწისათვის, შენი ქვეყნის მთა-ბარისათვის, შენი სამშობლოს ისტორიისა და მისი თანამედროვეობისადმი, შენი წინაპრებისადმი; გიღვივდება გრძნობა იმისა, რომ შენს მიწა-წყალს სულის სიმშვენიერე, შრომისმოყვარეობა, ჭირთათმენა და რაინდული შემართება, სინამდვილის უშუალო შეგრძნება და სილამაზის გულწრფელი განცდის უნარი, სულიერი სისადავე და ამაღლებულობა, ვაჟკაცობა და მტკიცე ხასიათი, ხალისიანობა და სიდინჯე, ცხოვრებაში ღრმად წვდომა და მომავლის ბრძნული ჭვრეტა — ყოველივე ეს არის ის ძვირფასი მემკვიდრეობა, რაც ჩვენ მამა-პაპათაგან მივიღეთ და რაც საბჭოთა სინამდვილეში ახალი შინაარსით გამდიდრდა და გაღრმავდა. ყოველივე ეს ჩვენი დედაფუძეა, ჩვენი ყოფის მტკიცე ბურჯია, ჩვენი ძალა და მშვენებაა, დღევანდელი ცხოვრების საძირკველი და ნათელი მომავლის

# „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია"

სი ცა, ქედები და თოვლიანი მთები თითქოს ახლადა გაეცანი მის ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს, ეზიარე მის დიდებულ აწმყოს; თითქოს გული გადაგიხსნა შენმა თანამოძმემ, შენი ერის შვილმა — ქართველმა კაცმა და იქ ღრმად ჩაიხედე, მისი ტკივილები და სიხარული გაიგე და გაიზიარე. ეს არის წიგნი სამშობლოზე, მის ისტორიაზე და დღევანდელ დღეზე, მის განსაცვიფრებელ კულტურულ მემკვიდრეობასა და შრომით ჰეროიკაზე, გამრჯე, თვითმყობად და განუმეორებელ ქართველ კაცზე.

წიგნი მშობლიურ მხარეში მოგზაურობით იწყება. გზა თბილისიდან იღებს სათავეს და საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის — ქართლის ყოველ კუთხე-კუნჭულს მოივლის. მაგრამ ის, რასაც ამ ხალისიანი და ენერგიული ჯგუფის მზერა წვდება, მოგზაურის თვალის ერთი გადავლებით დანახული გარემო როდია, ეს არის მიწა, რომელსაც ქართველი კაცისთვის ძუძუ უწოვებია, ეს არის ჭერმაღალი ზეცა, რომელიც საიმედოდ ხურავს მას; ეს არის დაბურული ტყეები და ნაირ-ფერადი მცენარეულობა, რომელსაც არა მარტო მზერა გაუხარებია, არამედ მიწისათვის სიგრილე და სიმსუყე შემოუნახავს, ჟამიდან მოყოლებული დოვლათისა და ბარაქის წყარო ყოფილა, ეს არის არა მარტო ციხე-კოშკებისა და სრასასახლეების, მონასტერ-სამლოცველოებისა და ტაძრების ნანგრევები, კლდეში გამოკვეთილი ქალაქებისა და მღვიმე-გამოქვაბულების ნაშთები, არამედ მათ მდუმარებაში გადმოცემულია მის მშენებელთა და დამცველთა შთამაგონებელი სული, გმირული შემართება და ვაჟკაცური თავდადება. ეს აყვავებული ბაღ-ვენახები, კოპწია ბაღჩა-ბოსტნები, აღაღანებული ყანები და მობიბინე მდელოები კი დღე-



სა და გონებაში, ისე აღავსებენ სიამაყის გრძნობით წარსულისადმი, რომ ადამიანს მოუწოდებს და უბიძგებს სადღეისო დიდი საქმეებისაკენ. აქ ისტორია ცოცხლდება და დიდი აღმძრავია თანამედროვეობისა. მწერალი ხატავს თანასოფლელებს, გადმოგვცემს ქართველი გლეხკაცის კოთვალისჩინივით გაუფრთხილდე, მუხლმოუხრელი შრომით ამრავლო ქვეყნის დოვლათი და ბარაქა, მატერიალური და სულიერი სიმდიდრე; სურვილი გიპყრობს, ესათუთებოდე ყოველივე იმ ძვირფასს, რაც წინა თაობებმა დღემდე მოიტანეს და ჩვენ ჩაგვაბარეს ქართველი კაცის მყარი საწინდარია, ჩვენი კაცობის, ჩვენი მოქალაქეობრივი შეგნების ბურჯთაბურჯია. აი, რას ქადაგებს ეს წიგნი, და რატომ არის იგი გამორჩეული, რატომ არის იგი მკითხველის მეგზური და მეგობარი.

„არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია" მხატვრულობით აღბეჭდილი, ხელოვნების ჭეშმარიტად მიმზიდველი ნაწარმოებია. ნიკო კეცხოველმა შეძლო სიტყვაზე ძალდაუტანებლად, ფორმის განსაკუთრებული ძიების გარეშე, ეფექტური ჰიპერბოლური მხატვრული საშუალებების გვერდის ავლით, ნაწარმოების სამკაულებრივი ფაქტურისათვის განსაკუთრებული ზრუნვის გაუწევლად შეექმნა ნათელი, რელიეფურად გამოკვეთილი ემოციური ძალისა და შემეცნებითი ღირებულების მქონე ნაწარმოები.

„არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია" აგებულია სინამდვილის უშუალო ხილვაზე, ცოცხალ შთაბეჭდილებებზე, დიდი ხნის ნაფიქრსა და გონების თვალით ათასგზის აწონილ-დაწონილზე. წიგნის მატერიალური, საგნობრივი სამყარო ცხოვრებისეულია, სინამდვილეში არსებულია, ან წინათ არსებულა, რაც ნაწარმოებს დოკუმენტურ ხასიათს ანიჭებს. დოკუმენტურად არსებული ეს სინამდვილე დანახულია არა ნატურალისტურად, ზოგადად, აბსტრაქტულად, არამედ მწერლის იდეურ-მხატვრული ამოცანების ფონზე, ზომიერად, დეტალების გამორჩევით და ხელშესახებად ჩვენებით. ნაწარმოებში არც ფანტაზიაა უგულებელყოფილი, მაგრამ ფანტაზიის ნაყოფი მხოლოდ სინამდვილის პროდუქტია, ცხოვრებისეულია. მაშინაც კი, როცა ლაპარაკია საყოველთაოდ ცნობილ საგნებსა და მოვლენებზე, მწერალი ახერხებს ახალი კუთხით დაგვანახოს ისინი, ახალი, საინტერესო შინაარსი იპოვოს მათში; საგულისხმოა, რომ უაღრესად ახლობელ, მრავალჯერ განცდილ და გააზრებულ სამყაროსთან შეხვედრისას

ავტორი პირველი ხილვის, პირველი შეგრძნების, მანამდე სრულიად უცნობის აღმოჩენის სიხარულს განიცდის და სისხლხორცეულის ეს ხელახალი აღმოჩენა, უაღრესად ნაცნობის ახალი თვალთახედვის შუქზე წარმოჩენა ნაწარმოებს ხდის ცხოველმყოფელს, ანიჭებს მას შინაგან დინამიზმსა და სიცინცხალეს.

დაუვიწყარია ოსტატობით გამოძერწილი ქართველი გლეხკაცის სახეები. გუთნისდედა ღვთისო, მესტვირე დოდე, მათე — ჯიუტი ხასიათის გამო — ჯიქად წოდებული, ქიტო, პეპა და მისთანანი — ეს ის პერსონაჟებია, რომელთა მსგავსი იდეური დატვირთვით, მხატვრული შესრულებით ხშირად როდი გვხვდება ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. ამ სახეებში განზოგადებულია ქართული ეროვნული ხასიათი, შეკრებილი და წარმოჩენილია უახლოესი წარსულის ქართველი გლეხკაცის სულიერი სამყაროს ნიშან-თვისებები. ამასთანავე თითოეული სახე გამოირჩევა ინდივიდუალობით, კოლორიტულობით, არ ჰგავს დანარჩენებს. ეს სახეები ამჟღავნებენ მათდამი მწერლის დიდ სიმპათიებს, დიდ სიყვარულს. მწერლის გამარჯვებაა, მკითხველი ასე უშუალოდ რომ შედის ნაწარმოების პერსონაჟთა ცხოვრების შუაგულში, განიცდის მათ სიხარულსა თუ მწუხარებას. მხატვრის მიღწევაა, როცა მკითხველს მისდაუნებურად იპყრობს სურვილი კეთილ საქმეებში მიბაძოს პერსონაჟს, იყოს მასავით მხნე, მართალი, გამრჯე, მეგობრისა და მეზობლის შემწე, სწორი გზის მიმდევარი, კეთილსინდისიერი, კდემამოსილი და მოყვასი. სწორედ ასეთ კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე ნიკო კეცხოველის პერსონაჟები.

მწერალი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს რევოლუციამდელ ქართული სოფლის სოციალურ ბედუკუღმართობას. გაუნათლებლობა და სიბნელე, გაჭირვებული და გაუხარელი არსებობა, ლუკმა-პურისათვის არაადამიანური შრომა, მუდმივი ხელმოკლეობა და სოფლის ბობოლებისგან შევიწროვება და აბუჩად აგდება — აი, მაშინდელი ღარიბი გლეხის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. ავტორი გვარწმუნებს, რომ ყოველივე აღნიშნულის შედეგი იყო მეზობლებისა და ბიძაშვილ-სახლიშვილების სამკვდრო-სასიცოცხლო დავა ერთი გოჯი მიწისათვის. ქიტოს, პეპესა და ღვთისოს გვერდით სოფელში ისეთებიც გამოერეოდნენ, რომლებიც მზად იყვნენ სისხლის ნათესავისთვისაც კი ნაჯახით გაეჩეხათ თავი, ახალგაშენებული ბაღი აეკაფათ, სარწყავი წყალი დაეწრიტათ და სხვა. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, სოფელი მაინც ჯანსაღი და ღონიერი იყო. მათ არამარტო მუხლჩაუხრელი შრომა იცოდნენ, არამედ უქმე-დღესასწაულებზე მოლხენა და დროსტარებაც. ავტორი კარგად იცნობს სოფლის ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს და შთამბეჭდავად აღწერს მათ. მწერალი დიდი სითბოთი, მოკრძალებითა და სიამაყით იხსენებს გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც ქართლიდან არიან, ამით შთაგვაგონებს, რომ მათ მივბაძოთ, მათ გზას გავჰყვეთ, სოფლისა და ხალხის სამსახურს, ერის კეთილდღეობას მოვახმაროთ ჩვენი ენერგია, ნიჭი, ცოდნა და უნარი.

„— არა, ბიჭებო, მე ჩემი მშვილდი და ისარი კაიხანია დავდე, თქვენთან უღელს სადღა გავწევ. ჩემ ბილიკზე უკვე ბალახი ამოვიდა.

— ახლა იმასაც იტყვი, ჩემი კალო გავლეწეო, არა?

— აბა მაშ რა, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს.

— შენ არ გვეუბნები ხოლმე, ძველი ხარისა რქანიცა ხვნენო?

— მერე რა, სიტყვა გაფრენილი ჩიტია, ასეთი სიტყვა საუბრის მარილია". — ასე ხატოვნად, მოხდენილი თქმებით, ცოცხლად და საინტერესოდ იწყება წიგნი და ეს ხატოვნება, მჩქეფარება, მიმზიდველი თხრობა ბოლო სტრიქონამდე არ წყდება. წიგნში უხვად არის გამოყენებული ფოლკლორული მასალა: ანდაზები, კაფიები, ქილიკი, შესიტყვება-გაჯიბრებები, ხალხური ლექსები ხომ მოთხრობის მხატვრული ქსოვილის ერთ-ერთი ორგანული, არსებითი კომპონენტი და მშვენებაა. ბუნებრივია პერსონაჟთა მეტყველება. ამასთანავე თითოეულ პერსონაჟს თავისებური მეტყველების კოლორიტი აქვს, რაც ლოგიკურია მხატვრული სახე-ხასიათისათვის.

ამ წიგნის პერსონაჟები ქართლური დიალექტით მეტყველებენ, მაგრამ მათ მეტყველებაში არ იგრძნობა თვითმიზნურობა, დაცულია ზომიერება და მიღწეულია ქართლური დიალექტის ძალდაუტანებელი შერწყმა საერთო ეროვნული ენის — ქართული ენის ბუნებასთან. წიგნი ამ მხრივაც საინტერესოა და საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ უნდა ვიყენებდეთ სიტყვაკაზმულ მწერლობაში დიალექტს და ამით არამცთუ ვაღარიბებდეთ ენას, არამედ ვამდიდრებდეთ, გამომსახველობის, ემოციური ზემოქმედების მეტ ძალასა და ზემოქმედებას ვანიჭებდეთ მას. მოთხრობის მდიდარი, მსუყე, ფერადოვანი ლექსიკაც იმის შედეგად, მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ სალიტერატურო ენის ტრადიციული საგანძური კიდევ უფრო მდიდრდება ხალხური მარგალიტებით. წიგნის ბოლოს გამოთქმულია პერსონაჟთა გულისტკივილი მშობლიურ მხარეში მგზავრობის დასასრულის გამო. მკითხველიც უერთდება მათ და მათთან ერთად მოელის დროებით შეწყვეტილი მგზავრობის გაგრძელებას სამშობლოს მიწა-წყალზე, მის დიად ისტორიასა და დღევანდელობაში.

გივი ვარდოსანიძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაკე-ფშაველას პროსპექტზე შეუძლებელია თქვენი ყურადღება არ მიიქციოს ეკლარის ქვით ნაგებმა თანამედროვე სტილის თოთხმეტსართულიანმა შენობამ, რომელშიც ერთ წელზე მეტია მოთავსდა აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო.

ეს კეთილმოწყობილი, სრულყოფილი თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო-სამკურნალო კომპლექსი ნათელი დადასტურებაა იმ დიდი ზრუნვისა, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო იჩენს მშრომელი ადამიანების ჯანმრთელობის დასაცავად. იგი კიდევ ერთი ხორცშესხმაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე მიღებული პარტიის პროგრამისა, რომელშიც წერია: „სოციალისტური სახელმწიფო ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც თავის თავზე იღებს ზრუნვას მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და მისი განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის. ეს უზრუნველყოფილია სოციალურ-ეკონომიური და სამედიცინო ღონისძიებათა სისტემით".

საავადმყოფოს მთავარი ექიმი ლუარსაბ ქავთარაძე გვიხსნის:

— თავისი მასშტაბითა და მოცულობით ჩვენს საავადმყოფოს ჯერჯერობით ტოლი არ ჰყავს საბჭოთა კავშირში. საავადმყოფოს კომპლექსში შედის თოთხმეტსართულიანი კორპუსი, ორსართულიანი აუდიტორიული კორპუსი, ბალნეოლოგიური კორპუსი და სამსართულიანი პოლიკლინიკა. ახლო მომავალში,

ფოტო შ. ჩხეტიანისა





# ჯანმრთელობის ახალი კერა



როდესაც მწყობრში ჩადგება სამედიცინო ინსტიტუტის მთავარი სასწავლო კორპუსი, შეიქმნება ერთი მთლიანი სამედიცინო კომპლექსი, რომელიც გააერთიანებს ინსტიტუტსა და კლინიკურ საავადმყოფოს. მას ექნება სამკურნალო, სასწავლო და მეცნიერული მიმართულება, აქვე იმუშავებს ინსტიტუტის ცამეტი კათედრა.

რევოლუციამდელი საქართველოს ყველა საავადმყოფო სულ 2 ათას საწოლს ითვლიდა. მარტო ვაჟას პროსპექტზე აღმართულ ახალ საავადმყოფოში კი 1 100 საწოლია. საავადმყოფოს აქვს ერთი, ორი და ოთხი კაცისთვის განკუთვნილი 372 პალატა, 15 პროფილის 20 კლინიკური და 23 კლინიკურ-დიაგნოსტიკური განყოფილება და კაბინეტი. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 2 ათასამდე ადამიანი, აქედან 300-მდე ექიმია.

ნათელ, კეთილმოწყობილ პალატებში არის ლეგუსტორი, რომელიც საჭირო მიკროკლიმატს ქმნის. აქვეა ჟანგბადისა და გაზის მოწყობილობა, ვაკუუმი.

თანამედროვე სამამულო და უცხოური სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილ საავადმყოფოში გულისხმიერი, გამოცდილი მედპერსონალი საიმედოდ დგას მშრომელი ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე.

- საოპერაციოში.
- უროლოგიურ განყოფილებაში.
- ავადმყოფთა მნახველები ვიდეოტელეფონთან.
- საავადმყოფოს გამოთვლითი ცენტრის ოპერატორი მარინე მაისურაძე.
- პროფესორი კოტე ვირსალაძე (მარჯვნივ) ესაუბრება ექიმებსა და სტუდენტებს.





### საქმის მცოდნე თარჯიმანი

საქმე ირჩევა ერთ პროვინციულ სასამართლოში. გლეხმა უჩივლა თავის მეზობელს, რომ ერთი ინდაური და ცხრა გოჭი მომპარაო. თარჯიმანმა ყოველივე ეს უნდა გადაუთარგმნოს მოსამართლეს. მაგრამ დახეთ მის გაჭირვებას: სიტყვა „გოჭის" გადათარგმნა ვერ მოახერხა რუსულად. მაგრამ მალე იხსნა თავი უხერხულ მდგომარეობისაგან. გლეხს უთხრა: შენ დედალი ღორის ფასი ითხოვე, გოჭებს თავი დაანებე, იმათ ფასს მე გადაგიხდიო.

### თევზის ვაჭართან

— სიცხეში დიდხანს ძლებს თევზი აუყროლებლად?
— სანამ ოქმს შეაყენებენ.

### ცოლ-ქმარი ვექილთან

— ჩვენ უნდა გავეყაროთ.
— მიზეზი?
— ჩემი ქმარი მეტისმეტი სულელია.
— მაგაზე ქორწინებამდე უნდა გეფიქრათ.
— მაშინ არ ვიცოდი.

ქმარი გაანჩხლებული: — სტყუის, მაგან მაშინაც კარგად იცოდა!

### სასამართლოში

მოსამართლე ეკითხება ერთ ახალგაზრდას:
— ერთი მითხარით, როგორ და რამ მოგიყვანათ აქ?
— თქვენ ის მიბრძანეთ ბატონო მოსამართლევ, როგორ და რანაირად გავიდე აქედან.

### სასამართლო

— ბატონო მოსამართლევ! სასჯელი უნდა მაპატიოთ, რადგან დღეს ჩემი იუბილე გახლავთ.
— როგორ თუ იუბილე?
— სწორედ დღეს შესრულდა სრული ოცდახუთი წელიწადი მას შემდეგ, რაც მოსამართლემ ქურდობისათვის პატიმრობა მომისაჯა.

□

— მხიარულად გაატარეთ დღესასწაული?
— გმადლობთ, ძალიან მხიარულად, ცოლმა გამიმართა სცენა...
— რა ბედნიერი ხართ! თეატრში წასვლა აღარ დაგჭირდებათ!

□

ერთი ლოთი მივიდა ექიმთან და შესჩივლა:
— რა ვუყოთ, ბატონო, თვალებში რაღაცა მელანდება და დღე და ღამე მოსვენებას არ მაძლევს.
— რა სახით გელანდებათ?
— ვირის სახით, ბატონო.
— ნუ შეგეშინდებათ, სიმთვრალეში თქვენი ჩრდილი გინახავთ და იმას შეუშინებიხართ.

□

— გამიცვალეთ ეს მატერია.
— არ შემიძლია!
— მაშ ჩემს საცოლეს რომ არ მოსწონს!
— თუ არ მოსწონს, თვითონ საცოლე გამოიცვალეთ, თქვე დალოცვილო!

### თეატრის სალაროსთან

— ყველა ბილეთი გაყიდულია!
— ფუი, დალახვროს ეშმაკმა!
— ცოტა მოითმინეთ, პირველი მოქმედება გათავდება და მაშინ ბევრი იქნება თავისუფალი ადგილი.

□

— შვილო დათო, დღეს მასწავლებელმა გაკვეთილი არ გკითხა?
— როგორ არა, მამიკო! ეს ხუთი დღეა სულ მე მეკითხება.
— მერე რა ნიშნები დაგისვა?
— ერთად რომ შევკრიბოთ სულ ხუთი იქნება.

# ლექსები



ზაქარია შერაზადიშვილი

## ჩემიანებო

ლამის სათვალავს ვერა ვპოვებდე
თქვენისთანების,
ვერა, ღმერთმანი!
ჩემი პოემის, ჩემი სიცოცხლის
ყველაზე დიდი,
აი, ქვეთავი!

პირაქეთელნი, პირიქეთელნი,
ზემოურები, ქვემოურები,
ცხადი ზღაპრები, ნაღდი მითები,
ხვავით ბეღლები, ძნებით ურმები!
გარეთუბნელნი, შუათუბნელნი,
გაღმამხარელნი... ამერ-იმერნი,
ერთურთს ვუხმობთ და
ვესაუბრებით,
როგორც მოუხმობს ირემს ირემი!

ვქმნით...
სულ ხუთწლედებს ვეხმიანებით
განძის მომტანად,
მადლის მომტანად,
დამილოცნიხართ, ჩემიანებო,
დიდი ხუთწლედიც რომ გეცოტავათ!

## ყელი

ბურანში ვისმენ —
ბულბული კვნესის,
ცას სწვდება მუხლი მისი გალობის,
გამჩენო,
ასე პატარა ყელში
ასე მწველი ხმა როგორ ამოდის?

ფოლადის ღერი,
სპილენძის ღერი,
თუთიის ღერი,
ბრინჯაოს ღერი
ერთიმეორის მიჰყვება დასტას
და ყველა თავის სიმღერას მღერის.
დღე და ღამ ვისმენ
გუგუნს და ბუბუნს
და ბობოქარი ბობოქრობს ხელი.
მე ვუწყი
როგორ აქებენ ბულბულს,
ამ ლითონს ვინღა გაუთბო ყელი?

## ოჯახი

მტკვრის სიკაშკაშე
ვაწვიეთ ბევრ წყალს:
ალაზანს, რიონს, არაგვს და ენგურს.
ერთურთში ყველა
რაც უნდ შევრწყათ,
რიონის შუქი იპოვნის ჩემს გულს!

მათი იმედის რწმენავ და ნიშო,
შევუქებ შუქს და სხივების წნელებს
ყველას —
სხვადასხვა ხუთწლედის პირმშოს,
სინათლის დიდი ოჯახის წევრებს.

ტაგუ მეგურიშვილი

## მალე კოლხეთი...

მალე კოლხეთი
(მაქვს გუმანი ნათელმხილველის)
ამოფრინდება ჭაობიდან,
როგორც ფრინველი...
სამი დღეა და სამი ღამე
ცისფერ ხობში ვარ
და ვსუნთქავ ახლად დაბადებულ
მიწის ოხშივარს.
სამი დღეა და სამი ღამე
მე ვარ ხობელი,
მე — ერთგულებით
სიყვარულის გამომხობელი.
ჩემი მუხლები
ამ მიწაზე
ვერ იგრძნობს დაღლას,
მეგზურად ყველგან
დღეიხი და წარსული მახლავს.
ო, ეს ბაღები,
ამწვანებულ-აქარვებული,
ჩემთვის გლეხკაცთა
ხელებია აყვავებული.
ვითარცა ქვალი
(როცა მეგრულ
სიმღერებს ვუსმენ)
მომაფრინდება საქართველოს
წარსული გულზე.
ამ სიმღერებში
საქართველოს სულის ღონეა,
სამშობლოს ბედის
ზღუქუნია და ღიღინია.
ეგ სიმღერები
(მხიარული და მოწყენილი)
„ქართლის ცხოვრების“
ფურცლებია ამოცვენილი.
ეგ სიმღერები —
(მრისხანება, შურისძიება)
ჩვენს მტერს და ორგულს
ტანში ედგა
კოლხურ ციებად.
ამ სიმღერებში
სიყვარული ყვავის იებად,
ყვავის მუდარა,
ლოცვა, ფიცი, მონანიება.
ზოგი სიმღერა ჩანჩქერია,
ზოგი მდორეა...
ერის სახეა
„ჩელა“, „ძაბრა“ და „ოდოია“.
სამი დღეა და სამი ღამე
ცისფერ ხობში ვარ
და ვსუნთქავ ახლადდაბადებულ
მიწის ოხშივარს.
ამოფოფინდა ბალახივით
(მძლეთა-მძლეველი)
ნუგეში ხვალის —
მიწასავით შეულეველი.
ამიშრიალდა ყანასავით
ფიქრი ულევი,
ივსება არხის ნაოჭებით
შუბლი ყულევის.
მალე კოლხეთი
(მაქვს გუმანი ნათელმხილველის)
ამოფრინდება ჭაობიდან,
როგორც ფრინველი.
ამოფრინდება და ფრთებს გაშლის
მეგრულ ჰანგივით
და სიამაყის ჟრუანტელი
ტანში დაგვივლის.
ჰეი, ბიჭებო,
ბარ-ნიჩაბი ხმლებივით იძვრეთ
და საქართველოს
მიუმატეთ განი და სიგრძე.
ვისაც გაქვთ სული
სიყვარულით გამონაწალდი,
მოდით,
სამშობლოს მიუმატეთ
შნო და ლაზათი.
მოდით,
ეს ზეცა
ურიამულით ატყორცნეთ ზევით.
მოდით,
საფლავში აამღერეთ
წინაპრის ძვლები.
მოდით,
ჭაობი —
საქართველოს წყლული გეძახით.
მოდით!
არაკში,
ზღაპარში და
ლექსში შესახლდით.
მოდით, ბიჭებო,
ბარ-ნიჩაბი
ხმლებივით იძვრეთ
და საქართველოს მიუმატეთ
განი და სიგრძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შალვა ქართველიშვილის ალბომიდან

შალვა ქართველიშვილი გარდა იმისა, რომ ბრწყინვალე ადვოკატი გახლდათ, პოეტი იყო, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას, მის კალამს ეკუთვნის რუსული კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ბევრი ნიმუშის თარგმანი. შალვა ქართველიშვილი ჟურნალ-გაზეთებში მოღვაწეობდა როგორც მხატვარი. საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ელ. ახვლედიანის გადმოცემით შ. ქართველიშვილის სურათები „მეეზოვე", „მუშა კურტნით", „ვირი", „ყურძნის კრეფა", „პურის ცხობა", „მრეცხავი ქალი" და სხვა მაღალი ოსტატობით ყოფილა შესრულებული. ელ. ახვლედიანი თავის მოგონებაში, რომელიც ჩვენი თხოვნით დაწერა, აღნიშნავს რომ შ. ქართველიშვილი იყო მისი პირველი მასწავლებელი, რომელმაც ხატვა შეაყვარა და ასწავლა.

შ. ქართველიშვილის მიერ შესრულებული სურათები სამწუხაროდ დაიკარგა. მისი მეუღლის ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილის ბინაზე ინახება ალბომი, რომელშიც შალვას ცნობილი ქართველი პოეტები, არტისტები და იურისტები ჩაუხატია. ალბომი საინტერესოა იმითაც, რომ მასში ლექსები ჩაუწერიათ პაოლო იაშვილსა და გალაკტიონ ტაბიძეს. ალბომში ნახავთ ფანქრით შესრულებულ პაოლო იაშვილის პორტრეტს, რომელზედაც პოეტს ასეთი ლექსი მიუწერია:

აქ ჩემი სახე მეჩვენება ტორეადორად,
ტოლედოს ცისკარს რომ ანათებს ამაყად მდგომი,
ქვეყნის მოწყენა და ტირილი ჩამომაშორა,
სად არის ხალხი, მე მზადა ვარ, დავიწყო ომი.

პაოლო იაშვილი შ. ქართველიშვილთან, ისევე, როგორც ბევრი ქართველი პოეტი და მწერალი, მეგობრულ ურთიერთობაში ყოფილა. ეს ჩანს პოეტის ლექსიდან, რომელიც ამავე ალბომში ჩაუწერია:

ტრიოლეტი შალვა ქართველიშვილს —

მე შემიყვარდა გაღიმება შენი ფარული
და მოყვარული მეოცნებე შენი თვალები
იქ იმალება, რასაც ალბათ გრძნობენ ქალები,
ეტრფიალები და გამშვენებს ღიმი ფარული —
მწვავს სიხარული, როცა მესმის შენი „არული",
მე შემიყვარდა მეოცნებე შენი თვალები
და გაღიმება მოყვარული და დაფარული.

ალბომში გალაკტიონ ტაბიძესაც ჩაუწერია ორი ლექსი. პირველი დაწერილია 1936 წელს, მიძღვნილია შ. ქართველიშვილის და მისი მეუღლე ელენე (ელიკო) ბაქრაძე — ქართველიშვილისადმი, მეორე კი დაწერილია 1937 წლის 25 იანვარს.



რადგან ვიცით კრთომა,
რადგან ვიცით კრძალვა,
მე თქვენ გენაცვალეთ
ელიკო და შალვა!
ვიყვეთ, ვუცქეროდეთ
ჩვენს მთებსა და გორებს
„კიდევ გენაცვალეთ" —
გული იმეორებს.
ამ ოჯახში ჩვენი
გული ერთად ვშალეთ,
კიდევ ვიმეორებ —
კიდევ გენაცვალეთ. (1936 წ.)

„წამებას ბევრი დაკარგვის გამო
ვერ გამოხატავს დღეთა მირონი,
მისთვის უდაბნო იყო მიდამო,
სადაც შელლია და ბაირონი,
ელიკო! გელის გალაკტიონი. (1937 წ.)

ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილის ბინაზე ინახებოდა აგრეთვე ი. გრიშაშვილის ლექსების პირველი კრებული, რომელიც 1914 წელს გამოსცა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლების საზოგადოებამ". კრებულის ერთი ეგზემპლარი ი. გრიშაშვილს შ. ქართველიშვილისათვის მიურთმევია და თავფურცელზე ასეთი ლექსი წაუწერია:

შ. ქართველიშვილს

მე შენ მიყვარხარ არა იმიტომ,
რომ სხვა ენაზე თარგმნი ჩემს ლექსებს,
და არც იმიტომ, რომ ქალთა კონა
შემოგცივცივებს და გიალერსებს,
და არც იმიტომ, რომ ხარ კეთილი,
ცელქი, გიჟმაჟი, მოუსვენარი,
და არც იმიტომ, რომ ხარ ნატიფი,
თვალად-სხივანა, ტანად კენარი,
მე შენ მიყვარხარ და ჩემი ტრფობა
შენს გულში მიტომ დავასაფლავე,
რომ შენში ფეთქავს ქართველის სული
და მგოსნის ფიქრი მონათესავე.

**გიორგი ხარატიშვილი**

# „იხაროდეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ!

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 490 წელს ათენის მახლობლად მდებარე სოფელ მარათონთან ბერძენთა ლაშქარმა სისხლისმღვრელ ბრძოლაში სძლია სპარსთა შემოსეულ ურდოებს. ძლევამოსილი ლაშქრის მხედართმთავარმა მილტიადემ თავისი ერთ-ერთი ფეხმარდი მეომარი აფრინა ათენს გამარჯვების მახარობლად. შეუჩერებლივ ირბინა მალემსრბოლმა მარათონიდან ათენამდე და როდესაც ქალაქის საბაზრო მოედანს მიაღწია, ესღა მოასწრო ეთქვა: „იხაროდეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ!" და იქვე უსულოდ დაეცა.

ანტიკური საბერძნეთის ისტორიის ეს ბრწყინვალე ფაქტი კაცობრიობის მეხსიერებამ, კერძოდ, სპორტის ისტორიამ, იმითაც შემოინახა, რომ დასაბამი მიეცა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ უძნელეს სახეობას — მარათონულ რბენას.

ძველ საბერძნეთში ჩასახული ოლიმპიური შეჯიბრებანი, რომლებიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წლიდან ჩვენი წელთაღრიცხვით 394 წლამდე, კვლავ აღორძინდა XIX საუკუნის დამლევს, სახელდობრ, 1896 წელს, როდესაც მოეწყო I თანამედროვე ოლიმპიური თამაშები. ამ ოლიმპიადის პროგრამაში პირველად შეიტანეს მარათონული რბენა.

მაინც ვინ იყო ის პირველთაგანი, რომელსაც ეს იდეა გაუჩნდა?

ეს გახლდათ ფრანგი ფილოლოგი მიშელ ბრეალი. მას აინტერესებდა, შეძლებენ თუ არა თანამედროვე სპორტსმენები უცნობი ბერძენი მეომრის მიერ გარბენილი დისტანციის დაძლევას და მისი რეკორდის გამეორებას. გამარჯვებულისათვის ბრეალმა სპეციალური პრიზიც კი დააწესა. და აი, რბენა მოეწყო ზუსტად იმ მარშრუტით, რომლის სიგრძე, როგორც დადგინდა, 42 კილომეტრსა და 195 მეტრს შეადგენდა.

I ოლიმპიური თამაშები ათენში მოეწყო. ადვილი წარმოსადგენია მასპინძელთა გულდაწყვეტა, როცა შეჯიბრების დაწყებიდან 5 დღე გავიდა და ბერძნებმა ვერც ერთი მედალი ვერ მოიპოვეს მძლეოსნობაში. გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე მხოლოდ სტუმრები ადიოდნენ. ბერძნებს ისღა დარჩენოდათ, სინანულით გაეხსენებინათ შორეული წარსული, ძველი ოლიმპიური შეჯიბრებანი, რომლებშიც ისე დიდი იყო ბერძენთა უპირატესობა უცხოელების მიმართ, რომ ამ უკანასკნელთ შეჯიბრებაზე არც უშვებდნენ...

წინ იყო მარათონული რბენა.

ტრასის სირთულემ და რბენის ხანგრძლივობამ ბევრ ცნობილ სპორტსმენს დაუკარგა მასში მონაწილეობის სურვილი. იმ დღეს საშინელი პაპანაქება იყო. შეჯიბრების სტარტი სოფელ მარათონის იმ ბორცვთან მოეწყო, საიდანაც მილტიადეს მეომარმა დაიწყო სირბილი. გასარბენი გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული იყვნენ ცხენოსანი ჯარისკაცები, ველოსიპედისტები და ორთვალები.

შეჯიბრების მონაწილეთა ჯგუფი ორმოცდაორკილომეტრიან გზას დაადგა. ათიოდე კილომეტრი ერთად ირბინეს. პირველ საკონტროლო პუნქტში მიიღეს წყალი და... ღვინო! ორმა სპორტსმენმა ვერ გაუძლო დატვირთვას და გრძნობადაკარგული დაეცა. რბენას სათავეში უდგება ფრანგი ლერმუზიე, მას მისდევს ავსტრალიელი ფლეკი, რომელიც მანამდე ჩემპიონი გახდა 800 და 1500 მეტრ დისტანციებზე სირბილში. ბერძნები სადღაც ბოლოში არიან... დაწინაურებული ფრანგი ვერ უძლებს ერთ-ერთ ციცაბო აღმართს და შეჯიბრებას ეთიშება. ახლა ფლეკია წინ. ფინიშამდე სულ ათიოდე კილომეტრი რჩება. მაგრამ აი, მას თანდათან წამოეწია ბერძენი სპირიდონ ლუისი, გაუსწრო და ათენის სტადიონზე, დამსწრეთა ენით აუწერელ ყიჟინასა და ოვაციებში, პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

ლუისი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა!

ბერძენმა სპორტსმენმა გაიმეორა თავისი შორეული წინაპრის გმირობა, რომელიც ამჯერად ტრაგიკულად არ დამთავრებულა. იმ დღეებში მთელ ათენში ჰქუხდა უკვდავი სიტყვები: „იხაროდეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ!" ეს იყო უცნობი ბერძენი მეომრის კიდევ ერთი გახსენება.



# საქართველოს მიწისქვეშა მუზეუმი

საქართველო მდიდარია კლდეებში გამოკვეთილი ციხე-ქალაქებით. ვარძიას, ქვახვრელს, შიო მღვიმს, წლობით აჩუქურთმებდნენ ხელმარჯვე ქართველი ოსტატები. მათ ქმნილებებს ბევრი უცხოელი ისტორიკოსი და მოგზაური მოუყვანია აღტაცებაში.

საქართველო მარტო ხელოვნური მღვიმეებით როდია განთქმული. იგი განსაკუთრებით მდიდარია მიწისქვეშა ბუნებრივი ძეგლებით. დასავლეთ საქართველოს კირქვიან ზოლში უკანასკნელ ოც წელიწადში მიკვლეული და შესწავლილია 500-მდე გამოქვაბული, უფსკრული, კანიონი. საქართველოს სავსებით დამსახურებულად უწოდებენ „სპელეოლოგიურ რესპუბლიკას“.

გამოქვაბულების გეგმაზომიერი, მეცნიერული კვლევა საქართველოში დაიწყო 1958 წლიდან, როცა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა სპელეოლოგიური კომისია. ეს კომისია შემდეგ სპელეოლოგიურ საბჭოდ გარდაიქმნა. გარდა ამისა, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა კარსტოლოგია — სპელეოლოგიის განყოფილება, რომელიც ყოველწლიურად აწყობს ექსპედიციებს კარსტული მღვიმეების შესასწავლად.

ბუნების ნამდვილი საოცრებაა ახალი ათონის გამოქვაბული. ეს არის მსოფლიო მასშტაბის უნიკალურ მღვიმეთა მთელი სისტემა. მიწისქვეშ, ორასამდე მეტრ სიღრმეში, განლაგებულია გამოქვაბულის დერეფნები და ვრცელი დარბაზები: „ივერია“, „თბილისი“, „აფხაზეთი“, „სოხუმი“, „ტაძარი“, „კანიონი“ და სხვ. დარბაზებში აღმართულია სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების „ტყეები“. ბობოქარ მიწისქვეშა მდინარეებსა და უფსკრულებზე გადებულია უცნაური ფორმის ბუნებრივი ხიდები.

ახალი ათონის უფსკრულში, რომელიც დასაბამიდან ცნობილი იყო „უძირო ორმოს“ სახელწოდებით, პირველი ჩასვლა 1961 წელს განახორციელა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელშიც შედიოდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები: ა. ოქროჯანაშვილი, ზ. ტინტილოზოვი, პ. გერგედავა, გ. სმირი. ახლახან დასრულდა გამოქვაბულის კეთილმოწყობის სამუშაოები, იგი შეასრულა თბილგვირაბმშენის კოლექტივმა.

შარშან მოეწყო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი გეოგრაფიული სიმპოზიუმი მარშრუტით: დომბაი—კლუხორის უღელტეხილი— ბაქსანი — იტკოლი—ყაზბეგი —თბილისი —სოხუმი — ავადხარა. ფრანგმა სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს, რომ ახალი ათონის მღვიმეთა სისტემამ მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. 1974 წლის ბოლოდან ეს მიწისქვეშა სავანე ათასობით ტურისტის საყვარელ ადგილად გადაიქცა.

მსოფლიოში ცნობილ გამოქვაბულთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ცუცხვათის ცამეტსართულიან კარსტულ გამოქვაბულს, რომელიც ტყიბულთან ახლოს მდებარეობს. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტისა და აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთობლივმა ექსპედიციამ ინსტიტუტის გეომორფოლოგიური განყოფილების გამგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პრჟევალსკის სახელობის ოქროს მედლის ლაურეატის პროფესორ ლ. მარუაშვილის ხელმძღვანელობით აქ აღმოაჩინა ნეანდერტალოიდების საკულტო მღვიმე სათანადოდ დასვენებული მღვიმური დათვის თავის ქალებით და ბარძაყის ძვლებით. მსოფლიოში ეს პირველი შემთხვევაა, როცა მღვიმე გამოყენებულია საკულტო დანიშნულებისათვის. ექსპედიციამ აქვე, კავკასიის ტერიტორიაზე პირველად აღმოაჩინა განამარხებული მზრალობითი ფორმა, რომელიც ჩვენში ოდესღაც არსებული გამყინვარების პერიოდზე მიუთითებს. ცუცხვათის მღვიმეთა კომპლექსი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სახელმწიფო ნაკრძალად გამოაცხადა. იგი კეთილმოეწყობა და მალე ფართოდ გაუღებს კარს მასობრივ ტურიზმს.

თავისი მოცულობით რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესია აბრსკილის გამოქვაბული, რომელიც ოჩამჩირის რაიონში მდებარეობს. იგი მიწისქვეშა სამეფოს ზღაპრულ სიმშვენიერეს წარმოადგენს თავისი დარბაზებით, გალერეებითა და მიწისქვეშა კარსტული წყლებით, რომელთა შესწავლა ახლა წარმატებით მიმდინარეობს. გამოქვაბულის სიგრძე 170 მეტრია.

ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ღრმა კარსტული უფსკრული მდებარეობს ბზიფის ქედზე. მისი სიღრმე 750 მეტრია.

უკანასკნელ დროს მეცნიერებისა და მთამსვლელების ყურადღება მიიქცია მდინარე აბაშის წყლის აუზის მღვიმეთა ჯგუფმა, რომელთა შორის აღსანიშნავია „ტობა-I“ და „ტობა-II“. პირველის სიგრძეა 110 მეტრი, მეორესი — 600 მეტრი. მღვიმეში აღმოჩენილია ულამაზესი ჩანჩქერი, რომელიც 60 მეტრი სიმაღლიდან გადმოჩქეფს და ზღაპრულ სილამაზეს ქმნის. აქვე ყურადღებას იქცევს 7 მეტრი სიგრძის სტალაგმიტი. მას ლაზიერის ფორმა აქვს. ამ სტალაგმიტს „ჭადრაკის დედოფალი“ დაარქვეს, ხოლო ერთ-ერთ დარბაზს ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის პატივსაცემად — „ნონას დარბაზი“ შეარქვეს. მღვიმეთა ეს სისტემა ჯამური ფორმისაა. მისი სიგრძე 16 კილომეტრია და ერთ-ერთი ყველაზე გრძელი კირქვული მღვიმეა ჩვენს ქვეყანაში.

ბუნების ნამდვილი შედევრია აგრეთვე მდინარე ოკაცეს კანიონი, რომელიც წულუკიძის რაიონის სოფელ ჭინჩხაში მდებარეობს. იგი 2,5 კილომეტრზეა გადაჭიმული, მისი სიგანე ზოგ ადგილას 3-6 მეტრია, ალაგ-ალაგ კი 15 მეტრი, სიღრმე — 50-100 მეტრამდე აღწევს. აქ არის რამდენიმე წყალუხვი ჩანჩქერი, რომლებიც უხვად აფრქვევენ შხეფებს ირგვლივ. ერთ-ერთი ტბის სიგრძე 60 მეტრია. აქვეა მდინარეზე გადებული ბუნებრივი ხიდი. ჯერჯერობით აღმოჩენილია ორი მღვიმე, რომლებიდანაც კარსტული წყლები მოედინება, ეს კი მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ აქ სხვა გამოქვაბულებიც უნდა იყოს.

და კიდევ რამდენი საინტერესო მღვიმე, უფსკრული და კანიონია საქართველოში! მათ შორის საყურადღებოა სამხრეთ ოსეთის კუდაროსა და წონას, აგრეთვე ყვირილას ხეობის კარსტული მღვიმეები. ამ მღვიმეებში გამოვლინებულია პირველყოფილი ადამიანების ხანგრძლივად ცხოვრების უტყუარი ნიშნები. სათაფლიის გამოქვაბულში კი, რომელიც ქუთაისთან ახლოსაა, მისმა აღმომჩენმა პეტრე ჭაბუკიანმა შენიშნა გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავლის — დინოზავრის ანაბეჭდები. ამ დიდმა მეცნიერულმა აღმოჩენამ ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი.

მიწისქვეშა გამოქვაბულებს ფართო გამოყენება აქვს აგრეთვე სახალხო მეურნეობაში, მედიცინაში. მჭიშტას კარსტული მდინარეების ბაზაზე გუდაუთის რაიონში შექმნილია შავწყალას მსხვილი საკალმახე მეურნეობა. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი მეოთხე წელია ახლომდებარე გამოქვაბულს წარმატებით იყენებს ბრონქიალური ასთმისა და ყივანახველას სამკურნალოდ. მიწისქვეშა კარსტული მღვიმეები ამავე დროს არის ბუნებრივი საწყობები, მაცივრები...

ბუნების ამ ძვირფას საჩუქრებს უფრო ღრმა მეცნიერული შესწავლა სჭირდება. მათი კეთილმოწყობა, ტურიზმისათვის გამოყენება, მოვლა-პატრონობა და შენარჩუნება დიდი პატრიოტული საქმეა.

დავით ბიწაძე



გიორგი ცაბაძის პირველი სიმღერა ამ სამიოდე ათეული წლის წინ დაიბადა. კომპოზიტორი პირველი ნაწარმოებიდანვე შეიყვარა ხალხმა. მას შემდეგ გიორგი ცაბაძემ შექმნა სიკეთითა და სიყვარულით გამთბარი ბევრი სიმღერა, რომლებიც ქართველი კაცის განუყრელ თანამგზავრად იქცნენ შრომასა და ლხინში, სიყვარულსა და მეგობრობაში. მათ ხშირად ვისმენთ საკონცერტო ესტრადიდან, ტელე და კინოეკრანებიდან, თეატრის სცენიდან. ქართველ კომპოზიტორს იცნობენ საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთაც. მის ოპერეტებს დგამენ მოსკოვში, ოდესაში, როსტოვში, სვერდლოვსკში, ვოლგოგრადში და ბევრ სხვა ქალაქში.

ფოტო ს. თევზაძისა
და
ი. დავითაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უველაზე მკაცრი შემფასებლები.

# ასე იბადება სიმღერა





ამირობა...



როიალთან კახა ცაბაძე.

საქ. სსრ კ. მარქ
სახ. სახ. რესპ
ბიბლიოთეკა

# ფშავის სატყეოში



ფშავ-ხევსურეთის გზა ერთადერთი გზაა ფშავში. ამ გზით მოდიან მთიდან. ფშავის სიამაყე არაგვია; არაგვის სათავე კი ბორბალოს მაღალი მთაა. მოდის და მოედინება ანკარა წყაროებით, კალმახებით. აქეთ-იქიდან არაგვს ფოთლოვანი ტყეები აცილებენ ჟინვალამდე. გარდა ამისა, კეთილმოწყობილი გზა და ხიდები და არის სანახაობა კარგი. მაღაროსკარის სატყეოს უფროსმა ვალერიან მირზიაშვილმა კიდევ ერთხელ შეხედა ფშავის ბუნებას, მერე ტრაქტორებისაკენ გაიხედა. ხეებს ეზიდებოდნენ. თითქოს დანაშაული ჩაიდინაო, თავი ისე იგრძნო, ჩემსკენ მოტრიალდა.

— ნებით ამორჩევით ჭრას ვატარებთ, ეს ხეებიც იქიდან მოგვაქვს, ნათქვამია: გაგონილს თვალით ნახვა სჯობიაო, წავიდეთ, ვნახოთ, — მეუბნება იგი და თან ჭალაში შემოზიდულ მორებს ათვალიერებს.

არაგვი ადიდებული მეჩვენა. ხიდს ძებნა დავუწყე. ვაჟა გამახსენდა:

გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ,
შუაზე მოდის მდინარე,
ხიდი არ გვიძე წყალზედა,
ფიქრი გკვლავს მოუთმინარე.

ვიდექი რამდენიმე წუთს ასე. ამასობაში ვალერიანს ტრაქტორი ნაპირზე გამოეხმო. დაფიქრებული რომ დამინახა, თვითონაც ჩაფიქრდა. არაგვს გავედით. ტრაქტორი აღმართს შეუდგა. „ტყე უმთოდ უწყლოა, მთა ტყეს ამაღლებს სულიანად, ხორციანად“, გუნებაში ვფიქრობ და ვუყურებ ტრაქტორს, რომელიც აღმართს ებღაუჭება და ხვნეშის.

— ძალას ნუ დაატან, ბალღო! — აფრთხილებს სატყეოს უფროსი, — ახალია და ცოდოა!

— მოგწონს? — ახლა მე ვეკითხები იმ „ბალღს“, რომელიც ტრაქტორზე კოხტად წამოსკუპულა და დინჯად მართავს საჭეს.

— რა უშავს, კარგად ეწევა! — თქვა და ეშმაკურად გაიღიმა.

— კაი ბიჭია, — გავიფიქრე და ტრაქტორისტს კიდევ შევხედე, იმანაც შემომხედა და გაიცინა.

— რა გვარის კაცი ხარ?

— იარაჯული.

— იარაჯული? სადაური ხარ?

— თიანეთელი.

— ცოლი გყავს?

— არა, წელს ვაპირებ.

— ოღონდ მოიყვანოს, მე რაც შემეძლება, ხელს შევუწყობ!“ — ამბობს ვალერიანი და იარაჯულს მხარზე ხელს არტყამს, — კარგი ბალღია ეს რჯულძაღლი.



მთავარი მეტყევე ლ. ბეწუაშვილი და მაღაროსკარის სატყეოს უფროსი ვ. მირზიაშვილი.

ფოტო ჯ. კვირიკაშვილისა

იარაჯულმა ტრაქტორი აღმართზე აიყვანა და სწორ ადგილზე გააჩერა.

— ესეც ჩვენი ყოფჩის ტყე! — ჩაილაპარაკა მაღაროსკარის სატყეოს უფროსმა და ტრაქტორიდან გადმოხტა.

ტყეს დათვალიერება დავუწყეთ.

— სულ — 386 ჰექტარი ფართობი უჭირავს, აქედან 34 ჰექტარი ტყეკაფი არის გამოყოფილი, — ამბობს ვალერიან მირზიაშვილი და ისევ განაგრძობს, — ჭრები 112 და 113 კვარტალში გვაქვს დანიშნული, მათი ხნოვანება საშუალოდ 100—120 წელია.

— 100—120 წელი? ვაჟას დროინდელი ხეებია! ერიჰა! — ვთქვი და დაჟინებით დავაცქერდი ერთ წიფელს, რომელიც მთელი თავისი ვეება ტანით მიწაზე ეგდო. ზემოდან ახალგაზრდა ხეები ამაყად დასცქეროდნენ, ცისკენ ტოტები გაეშვირათ და თითქოს ამით ეუბნებოდნენ: დრონი მეფობენ, არა მეფენიო!

— აქეთ მობრძანდით! — მოგვესმა ვიღაცის ხმა. მივიხედეთ, ტყის სიღრმეში ერთი ახალგაზრდა კაცი დგას, ხელში მოსაზმელი ტროსი უჭირავს, ქუდი შუბლამდე ჩამოუწევია და ვატყობ ჩვენს მისვლას ელოდება.

— ეს ჩვენი ტყისმჭრელი გოგი ვეშაგური გახლავთ, -- მისვლისთანავე მაცნობს ვალერიანი.

— კეთილი, — ხელს ვართმევ ვეშაგურს და თან ვათვალიერებ ტანაშოლტილი წიფლის კორომებს, რომლებიც ჯარისკაცებივით სმენაზე დგანან და თითქოს ბუნების ბრძანებას ყურდაცქვეტილები ელოდებიანო. (ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ ჩემზე გაშიშვლებული ხეები ზამთარში).

— კარგი მოზარდია! — შევაქე კორომები და ხნოვანება ვკითხე.

— 18-20 წლამდე იქნებიან, — მპასუხობს ვალერიანი.

— უკანონოდ ერთ ხესაც არა ვჭრით, რაც შეგვიძლია, ტყეში ფრთხილად შევდივართ, ნორჩნარები რომ არ დავაზიანოთ, — საუბარში ჩაერია ვეშაგური.

— ჩვენი მოვალეობაც ეგ არის! „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია“, — ჩაიღიღინა მირზიაშვილმა.

თვალი გავაყოლე დახავსებულ წიფელს, რომელიც შოთა იარაჯულმა ტრაქტორით ჩაატარა.

— უკვე 400 კუბური მეტრი მასალა ჩავაბარეთ, შეშაც ამდენივე! — დაიწყო ვალერიანმა, — ბიჭებს არ ვემდური, ბიჭები კარგები მყავს. აი, ლევან ხოსიტაშვილს დღეში 8 კუბური მეტრი გამოაქვს. გამოცდილი ტრაქტორისტია. იმ დღეს მოვიდა და მეუბნება: ვალიკო, ტრაქტორზე ფარები არა მაქვს, იშოვე, ტყეში დავრჩები და ღამეც ვიმუშავებო. ასეთი კაცი როგორ არ უნდა დააფასო?! ვჩქარობ, სანამ კარგი ამინდებია გამოზიდვა უნდა მოვასწროთ, თორემ თუ ერთი გაწვიმდა, მოგჭამა ჭირი, გზა გაფუჭდება! — ვალერიანი თითქოს შიშმა აიტანა, ცას შეხედა.

ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა
შეუმკრთალი,
რომ ანგელოზს დაინახავს
მოდარაჯე ცაცის თვალი.

ვთქვი და შევხედე ფშავის ტყეს, რომელიც იმედიანი თვალით იყურებოდა.

ბიჭები იდგნენ და ხეს რაღაცას აყრევინებდნენ. „პანტა თუა“? — გავიფიქრე. ვალერიანმაც დახედა.

— შესვენების დროა! — ამბობს სატყეოს უფროსი, — ჩვენც შევისვენოთ.

წიფლის მორზე ვსხდებით. ვართ ასე და ვტკბებით ფშავის ტყის სიმყუდროვით.

წყალი მომწყურდა.

— წყაროც აქვეა! კარგი წყალია, მაგრამ ტყეში ნასიარულები ხარ და რომ დალიო, შეიძლება გაცივდე. მანამდე კი... — მირზიაშვილი წამოდგა, — ჰეი, -- შეუყვირა ბიჭებს, — აქაც მოიტათ!..

ბიჭები მოვიდნენ.

— პირი გაისველე, — რამდენიმე ცალი ვაშლი გამომიწოდეს.

დავხედე და სახტად დავრჩი: ტყეში ასეთი მსხვილი ვაშლები ჩემს დღეში არ მენახა. ვალერიანმა შემატყო გაოცება და გაიღიმა.

— ნამყენია, ამ ტყეში ბევრი დგას. გოგი, — მიუბრუნდა ვეშაგურს, — იმ ბერიკაცს რა ერქვა?

— რომელს?

— აი, ტყე-ტყე რომ დადიოდა და ამყნობდა.

— ნამყეური!

— ჰო, ერემო, ერემო, ახლა გამახსენდა, ცოცხალია?

— არა, რამდენი ხანია, რაც გარდაიცვალა.

— რას ამბობ, საწყალი, — ვალერიანი ჩაფიქრდა, — რაც მე ის დამიჯარიმებია.

— რატომ აჯარიმებდი, რას აშავებდა?

— აქაოდა ნამყენებს ჩრდილავსო, მოდგებოდა და ხეებს მიჭრიდა!

ვალერიანმა ვაშლი ჩაკბიჩა, დუმილი ჩამოვარდა. მერე ლაპარაკ-ლაპარაკით ტყე დავტოვეთ და გზაზე გამოვედით. გზაზე გუდააკიდებულ ფშაველებს დავეწიეთ. ვიფიქრე, „გუდით ყველი ხომ არ მოაქვთ-მეთქი“ და ვალერიანს ვკითხე:

ვალერიანმა ფშაველებს შეხედა და გაეღიმა.

— ვაშლს ეზიდებიან იმ ტყიდან. ნახე, იმდენია რომ ზამთრისთვისაც იმარაგებენ. ეჰ, საწყალი ერემო ნამყეური, კარგ საქმეს აკეთებდა, როგორც ხალხისთვის, ისე ტყისათვის! — თქვა და ჩქარ არაგვს გახედა, თითქოს იქიდან ვიღაცა შეეხმაურაო.

მეორე დღეს დუშეთის სატყეო მეურნეობის კანტორაში მთავარ მეტყევე ლადო ბეწუაშვილს შევხვდი. ლადო ჩაფსკვნილი, მაღალი კაცია. ფეხი ჰქონდა ნაღრძობი და კოჭლობდა. ბოდიში მომიხადა, ტყეში ვერ წამოგყვებიო. ანდა რა ებოდიშებოდა, როცა სატყეო მეურნეობის დირექტორი გოგი ლიპარტიანი ავად იყო და მთელი საქმე ლადოს კისერზე ჰქონდა დაწოლილი.

ჩვენს რესპუბლიკაში დუშეთის სატყეო მეურნეობა ყველაზე დიდი მეურნეობაა. მისი მოვლა-პატრონობა იოლი საქმე როდია! ლადო ბეწუაშვილი გამოცდილი მეტყევეა, საქმის კარგი მცოდნე. იცის რა პასუხისმგებლობა აკისრიათ მეტყევეებს. აქაურმა მეტყევეებმაც იციან ეს და ამიტომაც იყო, რომ ისინი დილაადრიანად კანტორის წინ შეკრებილიყვნენ და ახალ დავალებებს იღებდნენ მთავარ მეტყევესაგან.

უშანგი ბედია

# სიურპრიზს ამას ჰქვია!

## ჩიგია მინდორზე დაბრუნდა!

ურუგვაის ფეხბურთში დიდი სენსაცია მოხდა! ალჩიდეს ედგარდო ჩიგია, ურუგვაის იმ ნაკრების მარჯვენა გარემარბი, რომელმაც 1950 წელს რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას" სტადიონზე მასპინძლებს, ბრაზილიელებს სძლია (2:1) და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, ფეხბურთს დაუბრუნდა. 47 წლის ჩიგიამ კარგა ხნის შესვენების შემდეგ ახალ პროფესიულ კონტრაქტს მოაწერა ხელი „ფკ ნასიონალ დე კარმელოსთან" და ახალ კარიერას იწყებს!

ჩიგიამ, რომელიც ფეხბურთის დიდ ვირტუოზთა რიცხვს მიეკუთვნება, თავისი კარიერა დაიწყო „ფკ სიუდ-ამერიკაში" (მონტევიდეო). დიდი სახელი მოიხვეჭა, როგორც ურუგვაის წამყვანი კლუბის „პენიაროლის" მოთამაშემ. მას შემდეგ, რაც ჩიგიას გოლმა 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ურუგვაელებს ოქროს მედლები მოუტანა, მასზე ევროპელმა საქმოსნებმა ნამდვილი ნადირობა დაიწყეს. „პენიაროლიდან" იგი „რომა"-ში" გადავიდა და კარგა ხანს წარმატებით თამაშობდა. იმის გამო, რომ ჩიგია ტომით იტალიელია, (მისი მამა ჩავიდა ურუგვაიში და იქაური მოქალაქეობა მიიღო), იგი ჩაირიცხა იტალიის „სკუადრა აძურაში". მას შემდეგ, რაც ასაკის გამო დიდ ფეხბურთს გამოეთხოვა, ურუგვაიში დაბრუნდა და მოყვარულთა სხვადასხვა გუნდებში გამოდიოდა. ახლა კი ერთხელ კიდევ დაუბრუნდა პროფესიონალურ ფეხბურთს.

## კრუიფმა საქმე აღძრა

იოჰან კრუიფმა სასამართლო საქმე აღძრა ერთი ფრანგული გაზეთის წინააღმდეგ, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „კრუიფი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინ მოისყიდეს და ამიტომაც ითამაშა ასე სუსტად". ესპანეთსა და საფრანგეთში ამ ცნობამ დიდი აყალმაყალი გამოიწვია. იმასაც ამბობენ, რომ ამ საქმეში „შუამავალი" იყო ერთ-ერთი ნაკრების მწვრთნელი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ვერ მოხვდა, იუწყება პრაღის ჟურნალი „გოლი".

## მწერალი და მხატვარი

ორმა კარგად ცნობილმა ფეხბურთელმა ამ ბოლო ხანებში დიდი „არაპროფესიული" კარიერა დაიწყო. „ვულვერჰემპტონ უონდერერსისა" და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა დერეკ დუგანმა დაწერა რომანი „ფეხბურთელი", რომელიც გამოვიდა გამომცემლობაში „ალისონი და ბასბი". რომანმა აშკარა ინტერესი გამოიწვია.

მილანის „ინტერის" მეკარე ლიდო ვიერი ჩინებულად ხატავს. მისი სურათები დიდი ამბით იყიდება და მიიჩნევენ, რომ სოლიდური შემოსავლის გამო ვიერის შეუძლია თამამად დაანებოს თავი ფეხბურთს.

## სტეინის აზრით

გლაზგოს „სელტიკის" ცნობილ მენაჯერ ჯოკ სტეინის განცხადებით მისი გუნდის მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები, მართალია სტადიონს ავსებენ, მაგრამ განუწყვეტელ ექსცესებს აწყობენ და გუნდს ულახავენ სახელს. ამის მოთმენა უკვე შეუძლებელი ხდება.

„მე მირჩევნია 25 ათასი ნამდვილი გულშემატკივარი, ვიდრე 60 ათასი ბარბაროსი" — თქვა სტეინმა.

## ბრაიტნერი — ფილანტროპი

გამოჩენილმა გერმანელმა მცველმა ბრაიტნერმა, რომელიც ახლა მადრიდის „რეალში" თამაშობს, ამ ბოლო ხანებში ყურადღება მიიპყრო ორი ამბით: ერთი იმით, რომ იმ დიდი შემოსავლიდან, რომელიც მას ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონატში, ნახევარი გადასცა უსინათლო ბავშვთა სკოლას, მეორე იმით, რომ იშვილა ექვსი თვის უდედმამო ნიგერიელი ბიჭუნა.

ზ. გამრეკელი

ერვინ რიოლი

# ეს რა სათამაშოა?!

უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი მწვრთნელის რვა წლის ვაჟიშვილმა რალფმა საახალწლოდ შესანიშნავი საჩუქარი — მაგიდის ფეხბურთი მიიღო. მამა-შვილმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს მშვენიერი სათამაშო და მის შესწავლას შეუდგნენ. ყველაფერი ისე იყო, როგორც წესი და რიგია: საკმაოდ მოზრდილი ოთხკუთხა მწვანე მინდორი, ორი კარი, ბურთი და ორივე მხარეს განლაგებული თერთმეტ-თერთმეტი მოთამაშე. ერთი გუნდის წევრებს ყვითელი მაისურები და ცისფერი ტრუსები ეცვათ, მეორეს — წითელი მაისურები და თეთრი ტრუსები.

ფეხბურთის ნაცადსა და გამობრძმედილ სტრატეგს დიდხანს არ უფიქრია, მაშინვე „წითლები" აირჩია, რალფს „ყვითლები" დარჩა.

პირველი დარტყმის უფლება მამამ დიდსულოვნად ვაჟიშვილს მისცა, რალფმა იმწამსვე მარჯვედ გადასცა ბურთი თავის მარჯვენა გარემარბს, რომელიც, უმეთვალყუროდ დარჩენილი, წითლების კარის წინ იდგა. დარტყმა 1:0! მამა, დაცვითი ტაქტიკის ეს უგვირგვინო მეფე, ანგარიშს არაფერს უწევდა და იმედებს კვლავ თავის მცველებზე ამყარებდა. ხოლო რალფი, რომელსაც ჯერ არაფერი გაეგებოდა უმაღლესი ლიგის ღრმა სტრატეგიული კონცეფციებისა, აზარტულად განაგრძობდა შეტევას და გოლი გოლზე გაჰქონდა.

მწრთვნელი ყოველ წუთს უფრო და უფრო ილუშებოდა. დედა ჩუმად ადევნებდა თვალს მათ თამაშს.

როდესაც ანგარიში 7:0 გახდა ყვითლების სასარგებლოდ, მამამ უბოდიშოდ შეწყვიტა უთანასწორო ბრძოლა.

— ვინ გამოიგონა ეს სულელური თამაში? — იკითხა ბრაზმორეულმა.

— აქ წერია, უნგრეთშია დამზადებულიო, — შენიშნა დედამ.

— ჰოო, იმათგან ყველაფერი მოსალოდნელია! — წაიბურდღუნა მამამ, — უნგრელები უნგრელები არიან. მათ არასდროს არ იცოდნენ, რა არის ნამდვილი ტაქტიკა!

— ეს ჯერ კიდევ არავინ იცის! — მოურიდებლად ჩაილაპარაკა ვაჟიშვილმა.

— აბა, მისმინე, რალფ, — უთხრა მწვრთნელმა, — 7:0, ჩემი აზრით, ფეხბურთის ანგარიში არ არის. ამ უნგრულ სათამაშოს ისევე ცოტა აქვს საერთო თანამედროვე ფეხბურთთან, როგორც ჰოკეის შაიბას — ბურთთან, რომელსაც მე მთელი სიცოცხლე მივუძღვენი. მას, ვინც ეს სათამაშო გამოიგონა, სრულიად არ ჰქონია წარმოდგენა უმაღლესი ლიგის ფეხბურთზე. აბა, შეხედე: ჯერ ერთი, მოთამაშეებს აქ ისე უჭირავთ ადგილები, რომ საშუალება არა აქვთ მჭიდროდ ეთამაშონ მოწინააღმდეგეს — შეუძლებელია თუნდაც ოდნავი ბიძგი, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ჯანსაღი უხეშობა. რა არის ეს, ჩოგბურთი თუ ფრენბურთი? შემდეგ: როგორც ხედავ, სამი მოთამაშე მოწინააღმდეგის ნახევარზე დგას. ეს უკვე ნამდვილი უაზრობაა. უმაღლეს ლიგაში საკუთარი კარის დაცვაზე ზრუნვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვისი კარის დალაშქვრა. წარმოიდგინე, სადამდე მივალთ, კარში თუ გამუდმებით დავიწყებთ დარტყმას? რას იფიქრებს ჩვენზე მაყურებელი? იმაზე უკვე აღარას ვამბობ, რა უსიამო გრძნობებს აღძრავდა ეს მოწინააღმდეგეში, ანდა რამდენ საზრუნავს გაგვიჩენდა საერთაშორისო შეხვედრებში. არა, ჩემო კარგო, შენი მაგიდის ფეხბურთი ქარაფშუტული გამოგონებაა. ვიმედოვნებ, რომ იგი ყველგან არ არის გავრცელებული. ამან შეიძლება წაახდინოს ჩვენი მაყურებელი, გასაგებია?!

— კი, მამა, — მიუგო რალფმა.

— აი, ხედავ, — კმაყოფილი მიუბრუნდა მწვრთნელი მეუღლეს, — რა კარგია, როცა შესაძლებლობა გაქვს, სწორად და დროულად აუხსნა ბავშვს, რა არის ნამდვილი ფეხბურთი!

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

# ბობის ჯობი

კოლექციონერების სხვადასხვა სახეობები არსებობს. ერთი თავისებური გატაცება აქვს მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონსაც. რობერტ ფიშერი აგროვებს ახალ კოსტუმებს. იგი ხშირად ეწვევა ხოლმე მკერავებს, რათა თავისი გარდერობი შეავსოს. ეტყობა, თავისი ბევრი კოსტუმი მან მხოლოდ ერთხელ თუ ჩაიცვა.

მისი ეს გატაცება დაიწყო ბუენოს-აირესში 1960 წელს. მაშინ ბობი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, ყველა პარტიაზე თავის ცნობილ სვიტრში ჩაცმული ცხადდებოდა. თურმე ნუ იტყვით, ფიშერის ახალ გატაცებაში „დამნაშავე" ნაიდორფი იყო. არგენტინელი გროსმაისტერი ყოველთვის გამოირჩეოდა ელეგანტურობით. მთელი ამ ტურნირის მანძილზე იგი პეწიანად იცვამდა, ყოველდღე იცვლიდა კოსტუმებს. ამან ფიშერზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

— რამდენი კოსტუმი გაქვთ? — ჰკითხა ბობიმ ნაიდორფს.

— 150...

ამ დღიდან მოყოლებული, ფიშერი მკერავთა ხშირი სტუმარი გახდა, რაც შეუმჩნეველი როდი დარჩა. გავიდა წლები, ფიშერი ერთხელ კიდევ ჩამოვიდა ბუენოს-აირესში და ნაიდორფს უთხრა:

— თქვენი რეკორდი გადავლახე. ახლა მე 187 კოსტუმი მაქვს.

— ყოჩაღ, გილოცავთ! მაგრამ... სჯობს გამოგიტყდეთ: მე მაშინ მხოლოდ 27 კოსტუმი მქონდა — უპასუხა ნაიდორფმა.



ინგლისის ქალაქ კიდერმინსტერის მკვიდრმა, ორმოცდაოთხი წლის დოროთი ბარტონმა ამას წინათ თვალცრემლიანმა განაცხადა, რომ მან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

როგორც გამოირკვა, დოროთი ბარტონმა ორიოდე საათის განმავლობაში თურმე 62 ფუნტი (28 კილოგრამზე მეტი) ხახვი გაფცქვნა და დაჭრა.



ტულუზაში (საფრანგეთი) მოწყობილ შეჯიბრში ვინმე ს. დიუკუპომბიემ მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჩიბუხით თამბაქოს წევაში. იგი ჩიბუხს აბოლებდა 16 საათის, 38 წუთის, 49 წამის განმავლობაში და 50 გრამი თამბაქო მოსწია.



არგენტინაში ამას წინათ მოხდა თითქმის დაუჯერებელი ამბავი. ქურდების ჯგუფმა, რომელთა შორის, ეჭვს გარეშეა, გამოცდილი ტექნიკური სპეციალისტებიც იყვნენ, მოიპარეს... რკინიგზის ხიდი.

მდინარე სან-ანტონიოზე გადებული ხიდი ქურდებმა ღამით ნაწილ-ნაწილ დაშალეს და, როგორც ეტყობა, სადღაც გაყიდეს.

ამ რამდენიმე თვის წინ საგაზეთო წერილების წერას თავი დაანება „მსოფლიო რეკორდსმენმა", 58 წლის ინგლისელმა მოქალაქემ რეიმონდ კენტველმა.

რეიმონდ კენტველი ყოველდღიურად წერდა და ფოსტით აგზავნიდა 100-მდე წერილს. მისი 25 ათასზე მეტი წერილი გამოქვეყნდა სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალებსა და გაზეთებში.

* * *

ადამიანებმა რომ პატარაობიდანვე შეისწავლონ ქუჩაში მოძრაობის წესები, პოლონელმა პედაგოგებმა ორიგინალური საშუალება გამოიგონეს: მათი ინიციატივით პოლონეთში დაიწყეს ისეთი ნამცხვრების გამოშვება, რომლებზეც საგზაო მოძრაობის სხვადასხვა მაჩვენებლებია გამოსახული.

ბავშვები განსაკუთრებული სიამოვნებით მიირთმევენ ასეთ ნამცხვრებს.

შაქრის მწვავე კრიზისმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ინგლისის ქალაქ მაკნოლის მახლობლად მოთავსებულ ზოოპარკშიც.

მაიმუნებმა სასტიკი უარი განაცხადეს მიეღოთ სანაცვლოდ დაუტკბარი ყავა და კაკაო. მაკაკებმა და გორილებმა მღვრიე სითხე პირდაპირ სახეში შეასხეს მომვლელებს.

ზოოპარკის დირექტორი იძულებული გახდა კატეგორიულად მოეთხოვა ზოოპარკისთვის შაქრის ულუფის გადიდება.





ქალაქ ბირმინგემში (ინგლისი) ვიღაც მასხრობის მოყვარულმა გაავრცელა ჭორი, რომელმაც მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვია.

ამ ჭორის მიხედვით, ინგლისის მთავრობას თითქოს განზრახული აქვს უახლოეს ხანში დროის ე. წ. „მეტრიული ზომა" შემოიღოს. „მეტრიული ზომის" წუთი 60 წამის ნაცვლად უნდა შესდგეს 10 წამისაგან, საათი — 10 წუთისაგან, დღე — 10 საათისაგან. წამს დაერქმევა მილიდღე, წუთს — სანტიდღე, საათს — დეციდღე, წელს — კილოდღე.

შეშფოთების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ჭორი სამუშაო საათების მნიშვნელოვნად გადიდებას გულისხმობდა სათანადო ანაზღაურების გარეშე.



ფაუნისა და ფლორის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ საპროტესტო ღია წერილი გაუგზავნა მოდების სახლის ცნობილ მფლობელს კრისტიანა დიორს.

პარიზის მოდების კანონმდებელს კრისტიანა დიორს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ იგი თავის ახალ მოდებში რეკომენდაციას უწევდა იშვიათი ცხოველების ბეწვის ფართოდ გამოყენებას.

## ნარკვევი·ნარკვევი·ნარკვევი

ამერიკელმა ჯონ ხარჯისმა სანაძლეო დადო, თავისი მანქანა უკუსვლით 1000 კილომეტრზე გაატარა და 600 დოლარი მოიგო.

პოლიციამ თავზეხელაღებულ მძღოლი 1000 დოლარით დააჯარიმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არის თორმეტი დასახლებული პუნქტი, რომელთა სახელწოდებაა პარიზი, ათ დასახლებულ პუნქტს ვარშავა ჰქვია, რვას — მოსკოვი.


გარეკანის პირველ გვერდზე: ჩვენი სამშობლოს ფხიზელი გუშაგები. ფოტო ა. საჯკოვისა. ჩანართის პირველ გვერდზე: „მარჩიელი". მხატვარი ლ. გუდიაშვილი.

გადაეცა ასაწყობად 9/I 75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/I-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 58.000; შეკვ. № 105 უე 08082 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 95-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩანახატები







მხატვარი
დიმიტრი ერისთავი





ИНДЕКС 76036




ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ველოტრეკზე.

ფოტო თ. არჩვაძისა.